სპორტი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 27 თებერვალი | 1996 № 15 (240) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

LITTLE GEORGIAN

ნიუკასლთანაც მაგარია!

ჭინქლაძემ რომ მოლოდინს გადააჭარბა და პრემიერდივიზიონში ისე გაითქვა სახელი, არავინ რომ ელოდა, ცხადია, მაგრამ შაბათის მატჩს ჩემპიონატის ლიდერ „ნიუკასლთან“ მაინც შიშით ველოდი. საქმე ის გახლავთ, რომ პირველ წრეში ნიუკასლის შეხვედრაში, მე და „სარბიელის“ მთავარმა რედაქტორმა ზურაბ მეძველიამ ერთად რომ ვუყურეთ, მასპინძლებმა საშინელი დღე აყარეს „სიტის“. იმ თამაშში ალან ბოლმა გიო ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე გაამწესა — მცველს დაეხმარე, ოირემ ჟინოლას მარტო ვერ გაუმკლავდებო. მაშინ ჭინქი ჯერ კიდევ თავისი ადგილის ძიებაში იყო და, როცა მასპინძელთა ფრანგმა აიშვა, ფიტა დაიბნა კიდეც-ანგრიაში 3:0 რომ გახდა, „ნიუკასლი“ მეტოქის დამცირებასაც არ მოერიდა და ჟინოლამ მცველები სახალხოდ გაამასხარავა. გიო მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო და შეცვლა მოითხოვა. აი, ამიტომ შაბათის თამაშს იმაზეც უნდა გაეცა პასუხი, რამდენად დაივიწყა „ნიუკასლის“-კომპლექსი ჭინქლაძემ.

„ოლდანზე უპირველესად უცხოელები — ასპრილია, ალბერი და ჟინოლა გამოირჩეოდნენ, მაგრამ იყო კიდევ ერთი — ჭინქლაძე. ვინაც ერთად აღებულ ამ სამეულს ეჯობა“ — ეკითხულობ კვირის „ინდეპენდენტში“. მართლაც, ეს იყო გიოს საუკეთესო თამაში ინგლისში ჩამოსვლის დღიდან. რის ჟინოლა, რომელი ასპრილია — ჭინქი ისე თამაშობდა, თითქოს ლიდერს და მის ვარსკვლავებს კი არა, რომელიღაც სხეულის ჭაბუკებს ებურთავებო. ერთხელ ერთბაშად ოთხი მცველი დაეხა თავს, მაგრამ გამოძვრა, მეზუთეც მოატყუა და დაარტყა — ბურთი სანტიმეტრით ასცდა ზედ ძელს. მაშინ იყო, ტელეკომენტატორმა ტრევორ ბრუკნგმა კოლეგა ალან ჰანსენს რომ გადაულაპარაკა, ეს ბურთი რომ შევარდნილიყო, სეზონის საუკეთესო გოლის კონკურსის ჩატარება აღარც დაგვჭირდებაო...

„სიტი“ სამჯერ იგებდა. ჯერ ჭინის მე-16 წუთზე გატანილ გოლს სტუმართა ბელგიელმა ფილიპ ალბერმა პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე უპასუხა. მერე, 62-ეზე კვლავ ჭინმა შეაგდო, ცხრა წუთში კი ასპრილიამ გაქვითა. დამთავრებამდე 13 წუთით ადრე როსლერმა მესამე კი გაახერხა, მაგრამ „სიტიმ“ უპირატესობა მხოლოდ ოთხი წუთით შეინარჩუნა — ალბერმა ქულა იხსნა.

მეორე გოლი თქვენთან SKY-ის საშუალებით კი გინახავთ, მაგრამ მხოლოდ ბოლო მომენტი. არადა, გიომ აქაც გაიბრწყინა: ბურთი ცენტრის ხაზთან მარჯვენა ფლანგზე მიიღო, მარცხენაზე გადავიდა, საჯარიმოში შეეიდა (გზაზე ყველა მოატყუა) და დარტყა — მეკარემ მოიგერია, მაგრამ ჭინქი კვლავ პირველი იყო ბურთთან და უმეკარიოდ დარჩენილ კართან მდგომ ჭუინს ჩაწოდა, ამან კი თავით გაიტანა. მესამე გოლიც, სანამ ბურთი კართან ორ მეტრში მყოფ როსლერს მიუგიდოდა, ქართველმა შექნა. ამის გარდა იყო ბევრი ეპიზოდი, რიცა გიომ აღაფრთოვანა „მაინ როუდზე“ შეკრებილი 32 000 მაყურებელი. მოკლედ LITTLE GEORGIAN (პატარა ქართველი, როგორც მას ბრუკინგი უწოდებდა) დამსახურებულად აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, თუმცა... ბოლოეთების დიდ სათაურებში ვერსად ნახავთ მის გვარს და ეს ასპრილიას გამოისობით. არა, კოლუმბიელმა სულ სხვა რამით გამოიჩინა თავი — ერთხელ იდაყვი, მეორედ კი თავი ჩაარტყა მეტოქეს, რაც მსაჯს კი გამოეპარა, მაგრამ ტელევიზიას რა გამორჩება? ახლა კოლუმბიელის საქციელზე ფედერაცია იმსჯელებს და ვარაუდობენ, რომ ფაუსტინოს დისკვალიფიკაციას უთავაზებენ. აუცილებელი მხოლოდ „ნიუკასლის“ მწვრთნელი კევინ კიგანი იყო — ეგ ხომ ლათინურამერიკელია, იქ კი ყველა ეგრე იქცევაო — თქვა მატჩის შემდეგ. ალან ბოლს კი პირველად, ცხადია, ჭინქლაძეზე ჰკითხეს: იცოდით, რომ ამდენი შეეძლო? ბოლმაც, ვარჯიშებზე მობრძანდით და მერე მაგას არ შემეკითხებითო, უპასუხა და დააყოლა: სამი დღის წინ ორმხრივ თამაშში ისეთი რამე გაკეთა, ამხელა კაცს არ მენახაო.

საღამოს გიოს დავურეკე და სწორედ ამ „ისეთ რამეზე“ ვკითხე: დიდი არაფერი, გოლი გავიტანე ლამაზი და იმაზე თქვაო. ცხადია, გიო კმაყოფილი იყო თამაშით, თუმცა კი ტრაგუნა მიუღია: ახლა პროცედურები დამჭირდება, თუმცა „ბლეკბერნთან“ აუცილებლად ვითამაშებო.

დავით მჯედლიშვილი

ლონდონიდან

ხვალ ათენში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია საბერძნეთი-საქართველო

მაკის დედრინოსი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი): ბელარუსთან ერთხელ უკვე მოვდუნეთ ყურადღება, რის გამოც დავიხაჯეთ და წავაგეთ. მას შემდეგ ჩვენთვის რიგითი მეტოქე აღარ არსებობს — ყველას უნდა ვეთამაშოთ ისე, როგორც გადამწყვეტ მატჩში.

ბესიკ ლიპარტელიანი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი): წარმომდგენია, რა ძნელია საბერძნეთთან სტუმრად თამაში. მიუხედავად ამისა, ჩემი გუნდი მხოლოდ მოგებისთვის ითამაშებს. წასაგებად რომ მივდიოდეთ, ამ მატჩს საერთოდ არ ექნება აზრი.

კურტანიძე კიევშიც პირველია



შაბათს კიევში დასრულდა უკრაინის ვეტერან მოჭიდავეთა სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრებისთვის ეს იყო ბოლო შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატამდე. ტურნირის დასრულებისთანავე ჩვენი ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია გალდავამ** კიევიდან ტელეფონით გვაცნობა:

„ტურნირზე ბრწყინვალედ იასპარეზა ელდარ კურტანიძემ. მან ჩვენელზე ერთი წონით მაღალ, 100 კგ-მდე კატეგორიაში იჭიდავა. მიუხედავად ამისა ელდარს გამარჯვება არ გასჭირვებია. კურტანიძემ ისე მოიგო შეჯიბრება, არცერთი მეტოქისთვის ქულა არ მიუცია.

ამავე წონაში მეოთხე ადგილზე გავიდა ზაზა ტყეშელაშვილი. ასევე მეოთხე ადგილები დაიკავეს ემზარ ბედინეიშვილმა (68 კგ) და ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ). 74 კგ-ში რამდენიმე ფალავანი გამოვიყვანეთ. მათგან საუკეთესო შედეგს ბაიუმელმა ჯემალ კილაძემ მიღწია: მე-6 ადგილი. ამით კილაძემ მოიპოვა ადგილი საქართველოს ნაკრებში და ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს.

ვესაუბრეთ ლერი ხაბელოვს. საქართველოს სახელით გამოსვლაზე მას ცალახა პასუხი ჯერ არ მოუცია. ცოტას კიდევ ჭოჭმანობს. ყველაფერი ალბათ ევროპის ჩემპიონატის წინ, ნოვოგორსკის შეკრებაზე გაირკვევა, სადაც ჩვენი და რუსეთის გუნდები ერთად ივარჯიშებენ. ლერის საბუთების პრობლემა არა აქვს. მთავარია მისი პრინციპული თანხმობა.“

ყველა ნაკრებს პატრონი ჰყავს

23 თებერვალს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ოფიციალურად დამტკიცეს ნაკრების მწვრთნელები. ახალგაზრდული — ვლადიმერ გუცაევი; 18 წლამდე — ვახტანგ კოპალეიშვილი; 16 წლამდე — რევაზ გაგუა

რუსთაველები შინ ვერ ითამაშებენ

სწორედ ასეთი განაჩენი გამოუტანეს ორ რუსთაველ გუნდს — „მეტალურგსა“ და „ანზოს“ 23 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე. ამ მკაცრი გადწყვეტილების მიზეზი, დავით კვინიკაძის თქმით, ის ყოფილა, რომ ეს გუნდები სათამაშო მინდორზე ვარჯიშობენ. მაგრამ ეს ხომ მათი უბედურება, რომ ნორმალური ბაზა არ გაჩნიათ?! თუ სად ჩატარებენ რუსთაველები საშინაო მატჩებს, ეს უახლოეს დღეებში გაირკვევა. თუმცა, შესაძლოა, საქმე აქამდე არც მივიდეს: რუსთაველები აპირებენ ამ, მათი აზრით, უსამართლო გადწყვეტილების გასაჩივრებას.

რეზო ძოძუაშვილი, „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი:

— რა თქმა უნდა, კარგია, ფეხბურთის ფედერაცია სტადიონის მდგომარეობით რომ დაინტერესდა, მაგრამ საქართველოში ხომ სამად-სამი გუნდია, საკუთარი ბაზა რომ გაანია, დანარჩენები სათამაშო მინდორზე ვარჯიშობენ, მათ შორის ჩვენც. არადა, ჩვენზე მეტად ვის უნდა, რომ კარგი ბაზა გვქონდეს?! საწყენია ასეთი გადწყვეტილება.

რუმინეთი, კვიპროსი, საბერძნეთი

ამ სამი ქვეყნის ეროვნულ გუნდებთან ვამართავს ამხანაგურ მატჩებს საქართველოს ნაკრები — გვაცნობა გუშინ ჩივაძემ. სამივე შეხვედრა სტუმრად გაიმართება: 26 მარტს რუმინეთში, 23 აპრილს კვიპროსში და 8 მაისს საბერძნეთში. აქედან გამომდინარე, ბელარუსთან და ჩილესთან თამაში აღარ გაიმართება. რაც შეეხება ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც ახლა გუცაევი გაწვრთნის, ჯერ ბოლოდ ისაა ცნობილი რომ უფროსებთან ერთად მარტში ეს გუნდიც ვსტუმრება რუმინეთს და იქაურ თანატოლებს შეხვდება.

ჯამარაული „ალანიაში“ გადავიდა

რუსეთის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების განცხადების წარდგენა პარასკევს დამთავრდა. წინა დღით მოსკოვში გიჩა ჯამარაულმა ხელი მოაწერა ოსურ კლუბთან კონტრაქტს და რუსეთის ჩემპიონის მეხუთე ქართველი ლეგიონერი გახდა.

რაც შეეხება ჩვენში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ჯამარაულისა და „ქოვენთრის“ გარიგება ამ კლუბიდან მწვრთნელ ატკინსონის წასვლის გამო არ შედგა, ეს მართალი არ გახლავთ. ჩვენ დავუკავშირდით ქოვენთრის და გაირკვა, რომ ატკინსონი წასვლას არსად აპირებს. ჩვენებურის შესახებ მისი პასუხი ლაკონური იყო: უბრალოდ, ამ ეტაპზე სხვა ფეხბურთელის შეძენა გადავწყვიტეთ.

კახა გოგოლაძე

„შევარდენი" 4:0 ბ. ს. კ.

შევარდენი: აბუსერიძე, მოსულიშვილი, ქველაძე, მელქაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე, კანკავა, გოდერძიშვილი (მინდიაშვილი 46), დათვაძე, ჯიქია, ქოიავა (ქანთარია 46)

„მართველ" ქვა-ღორღიან, ოღრო-ჩოღრო „მოედანზე" ხისტი თამაში ძალიან სარისკო იყო და მოთამაშეები აკი მოერიდნენ კიდეც ამას. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ასპარეზზე ფეხბურთის თამაშს აკრძალავდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენებს მეტი რა გზა აქვთ — ხომ უნდა მოემზადონ მეორე წრისთვის...

რანგით უფროსთა უპირატესობა აშკარა იყო, შედეგიც — სავსებით ლოგიკური. შევარდენელები მეტოქეზე უკეთ და აზრიანად მოქმედებდნენ. თანდათან მწყობრში დგება ნბოტკინარი დათო გოდერძიშვილი და მისი სრული გამოჯანმრთელება გუნდის შედეგიანობას, უეჭველია დაეტყობა. „შევარდენის" შეტევებს უნარიანად ხელმძღვანელობდა მამუკა ჯიქია. ცოტა უცნაური იყო თავდასხმელ კახა გოგოლაძის უკან, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე დახევა, თუმცა ამას გოგოლაძისთვის ხელი არ შეუშლია ჩვეული საქმის კეთებაში — ორი გოლი მის ანგარიშზეა. კარგად ირჯებოდნენ გუნდში დბრუნებელები — ქოიავა და კანკავა. მწვრთნელებს საფიქრალი შეიძლება დაცვამ გაუჩინოს. ესენი ხშირად დაზღვევას ვერ ასწრებდნენ და, რომ არა აბუსერიძის თავგამოდება, ანგარიში სხვა იქნებოდა. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, თითქოს „შევარდენს" ხუსტი მცველები ჰყავდეს, უბრალოდ, შეუთამაშებელნი არიან.

მატჩის შემდეგ მურთაზ ხურცილავასთან გასაუბრება ვცადე, მაგრამ „შევარდენის" მთავარმა მწვრთნელმა ინტერვიუზე რატომღაც უარი თქვა...

თუმცა, ჩემთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაცია მაინც მოვიპოვე: ჯერ-ჯერობით განაცხადში არ არიან ჯიქია, კვიტატიანი და მელქაძე, თუმცა ამათი საქმის მოგვარების იმედი გუნდის ხელმძღვანელებს მაინც გააჩნიათ. შესაძლოა, ახალი სეზონიდან „შევარდენში" ცომაია და ჯიშკარიანიც ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, მათთან მოლაპარაკება გრძელდება.

„შევარდენში" მწვავედ დგას მეორე მეკარის პრობლემა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამ პრობლემას მალე მოაგვარებს.

მერაბ მამულაშვილი.

ხურცილავა ჯერ ჩუმად არის

— ხმამაღალი ნათქვამია. მინდა, ქართველმა სპეციალისტებმა შემნიშნონ.

— ახლა როგორ ფორმაში ხარ?

— ჯერ ამის თქმა ნაადრევია, მაგრამ სპორტული ფორმის აღსადგენად საკმაო დრო მაქვს. ახლა ვვარჯიშობ და ჩემპიონატამდე, ალბათ, სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

...ჩვენ დიღმის ბაზაზე ვისაუბრეთ. „მარგვეთი", „სამტრედია", „შსს აკადემია" — აი, ეს გუნდები იწვევდნენ ყოფილ ცხუმელს, მან კი მაინც „დინამოში" თამაში ამჯობინა. რატომ?

— ვფიქრობ, სავარჯიშო და სათამაშო პირობები „დინამოში" საუკეთესოა და მეც გადწყვეტილება ამის მიხედვით მივიღე. სხვას რომ თავი დავანებოთ „დინამო" მაინც „დინამოა" და „დინამოდ" დარჩება.

— ფეხბურთელისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სათამაშო პრაქტიკაც. ის გუნდები, რომლებიც გიწვევდნენ სწორედ ამის პირობას იძლეოდნენ. „დინამოში" კი ალბათ, ...ოთ ვინ არის გიგა გადელია?

«მე ფულზე კი არა, ფეხბურთზე ვფიქრობ»

გიგა გადელია ერთ-ერთი მათგანია, ბოლო ხანს უკრაინიდან რომ დაბრუნდა. ვინ არ იცის რომ იქაური გუნდები ფინანსურად წელგამართულად არიან და ჩემპიონატიც უფრო მაღალი დონისა აქვთ. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია რომ ქართველი ფეხბურთელები სამშობლოს გარეთ ეძიებენ ბედს. თუმცა გიგა გადელიას, სხვებისგან განსხვავებით, მტკიცედ გადაუწყვეტია საქართველოში თამაში.

— ხომ არ ფიქრობ, რომ უკრაინაში შენი გამგზავრება მცდარი ნაბიჯი იყო?

— არავითარ შემთხვევაში! იქ ბევრი რამ შევიძინე, მაგრამ არც საწინააღმდეგოს ვუარყოფ. იმედია დაბრუნების შემდეგ უკეთესობისკენ წავა ჩემი საქმე.

— დაკარგულში რას გულისხმობ? იმას ხომ არა, რომ ქართველ სპეციალისტებს მხედველობის არედან დაეკარგე და, ვინ იცის რა შანსები გაუშვი ხელიდან...

— მართალია, გეთანხმები. თითქმის ორი წელია, ჩემს შესახებ საქართველოში არაფერი სმენიათ. მინდა, ქართველ გულშემატკივრებს გავახსენო...

— ...ოთ ვინ არის გიგა გადელია?

— ხმამაღალი ნათქვამია. მინდა, ქართველმა სპეციალისტებმა შემნიშნონ.

— ახლა როგორ ფორმაში ხარ?

— ჯერ ამის თქმა ნაადრევია, მაგრამ სპორტული ფორმის აღსადგენად საკმაო დრო მაქვს. ახლა ვვარჯიშობ და ჩემპიონატამდე, ალბათ, სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

...ჩვენ დიღმის ბაზაზე ვისაუბრეთ. „მარგვეთი", „სამტრედია", „შსს აკადემია" — აი, ეს გუნდები იწვევდნენ ყოფილ ცხუმელს, მან კი მაინც „დინამოში" თამაში ამჯობინა. რატომ?

— ვფიქრობ, სავარჯიშო და სათამაშო პირობები „დინამოში" საუკეთესოა და მეც გადწყვეტილება ამის მიხედვით მივიღე. სხვას რომ თავი დავანებოთ „დინამო" მაინც „დინამოა" და „დინამოდ" დარჩება.

— ფეხბურთელისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სათამაშო პრაქტიკაც. ის გუნდები, რომლებიც გიწვევდნენ სწორედ ამის პირობას იძლეოდნენ. „დინამოში" კი ალბათ, საქმე სხვაგვარად იქნებოდა.

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. უკრაინის შემდეგ ქართულ ფეხბურთთან ხელახლა შეგუება ალბათ ძალიან გამიჭირდება. უკრაინული ფეხბურთი განსხვავდება ჩვენისაგან — თამაშის ხასიათითაც, სათამაშო აქცენტებით და სხვა. ფიზიკური დატვირთვებიც მეტია.

— ამის გამო, იქნებ, უფრო გაგიადვილდეს საქართველოში თამაში...

— რაც უნდა იყოს, ერთი სტილიდან მეორეზე გადართვა მაინც ძალიან ძნელია. თუმცა, ვნახოთ...

— „დინამოში" შენი აყვანა სბოლოოდ როდის გადაწყვიტეს?

— 24 თებერვალს. პირობებსაც იმის მიხედვით შემოიქმნიან, თუ როგორ ვითამაშებ.

— „სამტრედიასა" და „მარგვეთში" როგორ პირობებს გთავაზობდნენ?

— მე ფეხბურთის თამაშზე ვფიქრობ და არა პირობებზე. ამიტომ ვამჯობინე „დინამო". ეს ჩემი პროფესიული ზრდის მთავარი პირობაა.

მერაბ მამულაშვილი

ქართველების ერთ-ერთ ლიგა-ბიჯზე ბიჯ-ბიჯ ... ბოლები

სოჭში ადგილობრივი „ემჩუენა" საკონტროლო მატჩში პირველი ლიგის „ურალანს" შეხვდა და 3:1 გაიმარჯვა. პირველი ორი გოლი იონანიძემ გაიტანა, ორივე დავით ჯანშიას პასით.

ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზმა" რომელშიც სოსო ჭედია, იური გაბისკირია და მიხეილ ჯიშკარიანი თამაშობენ, კვიპროსში გამართულ საკონტროლო შეხვედრაში „ურალმაშს" 2:1 მოუგო. ჩვენებურებმა სამივემ ითამაშა, მაგრამ მათგან განსაკუთრებით სოსო ჭედია გამოირჩეოდა, რომელიც საკმაოდ კარგად შეეწყო ახალ კლუბს.

სამარის „ურილია სოვეტოვმა" კვიპროსში იქაური პირველი ლიგის „აიანაპა" გაანადგურა — 5:1. თამაშის პირველ ნახევარი 0:0 დამთავრდა. მეორეში კი, გოლების წვიმა ზურაბ წიკლაურმა დაიწყო, რომელმაც მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე დააწინაურა თავისიანები.

იტალიაში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" საკონტროლო თამაშში შვეიცარულ „სენტ-გალენის" ახალგაზრდულ შემადგენლობას 8:0 მოუგო. შვეიცარელებმა ვერაფერი მოუხერხეს ზაზა ჯანშიას, რომელმაც 5 გოლი გაიტანა.

რუსეთში თუ სირიაში?

ხაშურის „ივერიას"-ან უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი მერაბ კოტლაშვილი რომ უმუშევარი დარჩა, ეს უკვე გუწყვეთ. ამ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელისთვის საქართველოში არ გამოიძებნება გუნდი, რომელიც მას უხმობდა. ბოლოს და ბოლოს, ლოდინიც მომბეზრებელია და ამ კაცმა ძიება ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიწყო. კოტლაშვილის თქმით, მას ორი ვარიანტი აქვს: ერთი — წავიდეს რუსეთში და სამარის „კრილია სოვეტოვს" შეაფაროს თავი რიგით მწვრთნელად, მეორეც — სირიას მიაშუროს სამუშაოდ. ორივე წინადადება რეალურია. თუ რომელი ურჩევნია, ამას თავად კოტლაშვილი გვეტყვის:

— საქმე თუ არჩევანზე მივიდა, რუსეთი მირჩევნია. იქ ფეხბურთის დონეც მაღალია და პირობებსაც უკეთესად შეეგებები. რუსეთში მუშაობა ჩემი სამწვრთნელო კარიერისთვის უკეთესი იქნება, იქ მეტს ვისწავლი, რუსულ ფეხბურთშიც კარგად გავერკვევი და გამოცდილებასაც გავამდიდრებ, რაც ისევ ჩემს ქვეყანას გამოადგება.

„მერანი-91": მიზნები 96

ჩვენ პირველ ჯგუფში გადასვლა გვსურს — აცხადებს თბილისის „მერანი-91"-ის პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენის წევრი ნეგზარ ნავაძე. „მუხედავად იმისა, რომ ძლიერ კონკურენტებთან — „დინამო-2"-თან, აკადემიასთან, „ახოტთან", „არმაზთან" მოგვიწევს ბრძოლა, ეს მაინც უნდა შეეძლოთ. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ, ასეც იქნება. გუნდის ჩამოყალიბებისთანავე, 1991 წელს ვვარაუდობდით 5-6 წელიწადში საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში მოხვედრას. მგონი, უკვე განვახორციელეთ ჩანაფიქრი.

— ხომ არ გაგიჭირდებათ „დინამოსთან", ან აკადემიასთან შეკვიდება? პირველი უმაღლეს ჯგუფს ახლაც დაამშვენებდა, მეორეც ბოლო ხანს საკმაოდ გაძლიერდა...

— ძლიერთან შერკინება ბრძოლას უფრო საინტერესოს ხდის. ყველა თამაშს ვერავინ მოიგებს და მჯობნის მჯობნიც არ დაილევა. ამიტომაც, პესიმისტურად არ ვართ განწყობილი, ვიბრძოლებთ და მჯერა, რომ ამის შნოც გვაქვს. რაც შეეხება „დინამო-2"-ს, აქ მართლაც ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა თავმოყრილი, მაგამ, როგორც ვიცით, მისი ხელმძღვანელობა პირველ ჯგუფში გადასვლას მაინც და მაინც არ ესწრაფვის. შეიძლება, ამ ფაქტორმაც შეგვიწყოს ხელი.

ძმები არმიაში მიდიან

ზუგდიდის „დინამოს" ყოფილი მოთამაშეები, ძმები ენრიკო და ლევან ბერიშვილები მეორე წრეს თბილისის არმიელთა გუნდში — ასკ-ში ითამაშებენ.

ჯიკაევი «მარგვეთში» ჰღარ ითამაშებს

მისი გადასვლა „მარგვეთში" ფაქტიურად, გადწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო მოლაპარაკებისას „სამტრედიის" ყოფილმა მცველმა „მარგვეთის" პრეზიდენტს ისეთი პირობები წაუყენა, რომლებიც ვასილ ხაჭაპურიძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. შესაძლოა, ჯიკაევი „მერანი-91"-ში გადავიდეს.

ახალ წელს გალში შევხვდი...

ნუგზარ ჯუღელის ფრთიანი გამონათქვამი, მეტიუზს თუ სერის ტიტული მიანიჭეს, მეგრელაძეს აზნაურიშვილობა მაინც ვუბოძოთო, **ალკაზ ქანთარიასაც** ჩინებულად ესადგება. თავად განსაჯეთ, 42 წლის ქანთარია კვლავ თამაშობს და, მისივე თქმით, სულაც არ აპირებს ფეხბურთისთვის თავის დანებებას...

ალკაზ ქანთარიას ნახვა იბილისელ ფეხბურთის გულშემატკივრებს ბენდელას თასზეც შეეძლოთ, სადაც იგი მარნეულის „ალგეთშიც" გამოდიოდა. ამ გუნდის მწვრთნელზე ოთარ გაბელაძეზე უფროსი ალკაზი შვილისტოლა თანაგუნდელებს არაფერში ჩამოუვარდებოდა, უფრო პირიქით იყო. ერთხელ, მინდორზე უშუალო ორთაბრძოლისას ისე მომცელა, თქვენი მოწონებული. მოსაბოდიშებლად რომ მოვიდა, მაშინ ვუთხარი, იმ შემთხვევაში გაპატიებ, ინტერვიუს თუ მომცემ-მეთქი...

— ალკაზ, გაგვახსენეთ, როდის დაიწყო თქვენი კარიერა?

— არ გავიკვირდეს და, 23 წლისას, 1977 წელს, რუსეთიდან ახალ ნაშოსულს გალის „მზიურის" მთავარმა მწვ[illegible]ნელმა ანზორ გძელიძემ მთხოვა, ფეხბურთის თამაში დაიწყეო. მანამდე ეზოში თუ მთამაშია ფეხბურთი. მოვემზადე გძელიძესთან და მაშინვე ძირითადში მოვხვდი. იმ სეზონში 15 გოლი გავიტანე, „მზიური" კი საქართველოს ჩემპიონიც გახდა და სუპერთასის მფლობელიც. იმ სეზონის მერე ცხონებულმა გიგა ნორაკიძემ დამადგა თვალი და მომდევნო ათი სეზონი სოხუმის „დინამოში" გავატარე; ამ გუნდთან ერთად მეორე ლიგიდან პირველში გადმოვედი, რამდენჯერმე გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გავხდი. მერე, 33 წლისა ისევ გალს დავუბრუნდი და ეროვნულ ჩემპიონატსაც აქ შევხვდი. კარგი გუნდი გვყავდა, თუ გახსოვს. ისიც გეხსომება, ომის პერიოდში „მზიური" რომ დაიშალა, გურჯაანის „ალაზანში" ვითამაშე ერთი სეზონი და ბრინჯაოს მედლებიც მოვიგეთ. მერე ისევ გალში დავაგრძელე, 1993 წლის აგვისტოს ოჩამჩირის „ამირანს" შინ 4:0 მოვუგეთ თასზე, განმეორებითი თამაში კი აღარ დაგვცალდა... მე, ყოლბაია, ღურწკაია, კვეკვესკირი და ქორთუა ისევ გძელიძესთან ალმოვჩნდით ახალციხის „მესხეთში", მეთხუთმეტე ადგილიდან გუნდი მეოთხეზე გავიყვანე, მომდევნო სეზონში კი პირველ ჯგუფში გადასვლაც შეგვეძლი, მაგრამ ფინიშზე წავიფორთხიელეთ და ბოტნისის „სიონმა" გაგვასწრო. მერე თბილისში გლდანის მასივში დავსახლდი, არაფერს ვკეთებდი. ბედად, ოთარ გაბელია მარნეულში წავიდა და „ალგეთში" თამაში შემომთავაზა. მეც სიხარულით დავთანხმდი, თამაშის გარდა სხვა რამეც მიხარიდა — ოჯახის სარჩენ ფულს ვიშოვიმეთქი. ახლაც, სათამაშო პრაქტიკისთვის „ბენდელას თასზე" გამოვდივართ.

— თამაშს როდემდე აპირებთ?

— სანამ ძალ-ღონე მერჩის. რაც ფეხბურთს ვთამაშობ, აგერ მელე ოცი წელი გახდება, წონა არ შემცვლია. სიმაღლით 168 სანტიმეტრი ვარ და სისწრაფეც მაქვს. ისე, მართალი გითხრათ, ვითამაშებ მანამდე, სანამდეც ლტოლვილი ვიქნები. როგორც კი ჩემს მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდები, პირობას გაძლევთ, ფეხბურთს შევეშვები.

— ამ გახსენებაზე, ორი თვე არ ჩანდით და როგორც გავიგე, ოჯახთან ერთად გალში გადასახლდით...

— სრული სიმართლეა. დეკემბრის ბოლოს მეუღლით და ორი ვაჟით ენგურის ხიდი გადავიარე და, არავის შევუმოწმებივართ, ისე, ფეხით მივადექით ჩვენს სახლს. შინ მოხუცი მშობლები მეგულებოდნენ, რომელთაც საკუთარი კერის დატოვებას იქ დარჩენა ამჯობინეს. ორივენი ცოცხლები და ჯანმრთელები დამხვდნენ, ის კი არა, სიმინდიც დაეთესა, მოსავალიც მოეყვანათ და შენ წარმოიდგინე, ძროხებიც ჰყავდათ. ყოველღღე მეც და ჩემი ოჯახიც ღომსაც გეახლებოდით და სულგუნსაც ვაყოლებდით. იმ თვენახევრის განმავლობაში, იქ რომ ვიყავით, სახლში შექი ერთი წუთითაც არ გამქრალა. არც არავის შევეწუხებივართ. როცა ბავშვებს არდადეგები გაუთავდათ, მოკიდე ცოლშვილს ხელი და უკან ჩამოვიყვანე.

— აფხაზები სულ არ არიან გალში?

— იცდაათამდე კაცია. ყველანი რაიონის ადმინისტრაციული ხელმძღვანელები არიან. გალელები თითქმის ყველანი დაბრუნებულან და თავიანთ ოჯახებში ცხოვრობენ. გული არც მე მომიწევდა თბილისისკენ, მაგრამ ბავშვებს სკოლას ვერ გაუცდენდი, თანაც, ოთარ გაბელიას ვერ დავაღალატებდი. მოკლედ, მთელი გალი იმ იმედით ცოცხლობს, როდის შემოვლენ იქ მათი მეზობლები და ისევ ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან. მაც ძალიან მინდა, ჩემი შვილები სწორედ გალში მივიყვანო საუფეხბურთო სკოლაში და რაც მე ვერ ვთქვი ფეხბურთში, ამათ ვათქმევინო.

მამუკა კვარაცხელია

ᲒᲐᲛᲝᲣᲮᲘᲖᲚᲘᲗ, ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲝ!

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ „ᲒᲣᲠᲘᲐᲡ“ გადასარჩენად ბრძოლის დაწყება ამ ცოტა ხნის წინ გამცნეთ. მას შერე, მუდამდღე ვხვდებოდი გუნდის ხელმძღვანელობას და მკითხველსაც დაინტერესებს კიდევ ერთი მონათხრობი „ᲒᲣᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ“, ამჯერად იმ ორ კვირაზე, გუნდის მთავარი მწვრთნელის **ᲑᲔᲖᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘᲡ** თქმით, გუნდმა მაქსიმალურად რომ გამოიყენა.

— ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ?

— ᲩᲔᲛᲘ ᲒᲠᲬᲛᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲜᲐᲛᲘᲗᲘ-ᲜᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲐᲠᲪᲔᲓ ᲒᲘᲜᲝᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲮᲐᲠᲔᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲗ „ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲖᲐᲓᲝᲗ: ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲘᲗ „ᲯᲐᲠᲘᲡ“ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲛᲘᲮᲘᲔᲚ ᲚᲝᲚᲐᲫᲔᲡ, ᲝᲗᲐᲠ ᲒᲘᲒᲔᲯᲙᲝᲠᲡ, ᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲙᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲐ ᲧᲣᲐᲜᲘᲐᲡ. ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲮᲝᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲭᲠᲐ. ᲛᲔ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲙᲣᲡᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲗᲣᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲪ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ, ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲙᲠᲐᲮᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲙᲣᲡᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ, ᲗᲣ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ-ᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲚᲛᲐᲡᲒᲚᲐ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ. „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲫᲘᲡᲙᲔᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲪ ᲰᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲡ, ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲙᲠᲐᲮᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲙᲣᲡᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ, ᲗᲣ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ-ᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲚᲛᲐᲡᲒᲚᲐ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲗ...

— ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ?

— ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠ ᲨᲔᲝᲫᲚᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲔᲬᲝᲓᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲒᲐᲜ. ᲘᲧᲝ ᲛᲐᲩᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲖᲔᲓ ᲗᲣᲜᲓᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ ᲐᲠᲐᲡᲝᲛᲓᲣᲚ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲗᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲑᲔᲒᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ: ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ Ა. Შ. ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲣᲜᲓᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲝᲑᲡ **ᲠᲔᲯᲝ ᲯᲝᲠᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲣᲚᲐᲯᲐᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲘᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲪ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲙᲠᲐᲮᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲣᲙᲣᲡᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲡᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ-ᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲚᲛᲐᲡᲒᲚᲐ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲗ...

— ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ?

— ᲛᲔᲠᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

იტალია

სამპდორია 3:0 პიაჩენცა

21 000 მაყურებელი

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, ევანი, ინვერნიცი (ფრანჩესკეტი 85), მანინი, მიხაილოვიჩი, კარემბუ, ზეედორფი, კიეზა (ბერტარელი 77), რ. მანჩინი, სალსანო

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი (ლორენციინი 46; მ. კონტე 69), ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე, კარა, კორინი, პიოვანი

გოლი: მიხაილოვიჩი (26), კიეზა (48), მანჩინი (64)

გაფრთხილება: ტურინი

ინტერი 1:0 ატალანტა

39 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (პედრონი 46), ჩენტოფანტი, ფრუზი, მ. პაგანინი, ფუტა, ძანეტი (ფონტოლანი 60), ინსი, ბრანკა, ბ. კარბონე (ბიანკი 77), განეი

ატალანტა: ფერონი, ა. პაგანინი, პაოლინე (სალვატორი 87), როტელა, ბოზელი, მონტერო, გალო (სგრო 79), ბონანინა, პიზანი, ფორტუნატო, მორფეო (ტემელინი 72)

გოლი: ბრანკა (9)

გაფრთხილება: ბრანკა, გალო, მორფეო, პიზანი

გაძევება: ფორტუნატო (81)

ფიორენტინა 3:0 ნაპოლი

37 020 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, კოისი (რუი კოშტა 71), ამორუზო, მალუფი, ბიფიკა (ბეტონი 84), სოტილი, ბატისტუტა, შვარცი, ბაიანო

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, ტარანტინი, ბალდინი, იიალა, კრუნი, ბუზი, პარი, აგოსტინი, პეკია (ლონგო 70), იმბრიანი (დი ნაპოლი 50)

გოლი: ბატისტუტა (35, 75), ბაიანო (78)

გაფრთხილება: სერენა, ბაიანო, აგოსტინი

კრემონეზე 3:1 კალიარი

5 100 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გუალკო, ჯანდებიაჯი, ან. ორლანდო, დალ ინია, ვერდელი, დე აგოსტინი, პეროვიჩი (კრისტიანი 88), ფლორიანჩიჩი (ფანტინი 90), მასპერო, ტენტონი (ალოიზი 57)

კალიარი: აბატე, პანკარო (მუცი 29), პუშედუ, ვილა (ვენტურინი 46), ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა (ბრესანი 68), ონილი, ოლივეირა

გოლი: მასპერო (1), დალ ინია (24), მუცი (79), პეროვიჩი (86)

გაფრთხილება: დალ ინია, ჯანდებიაჯი, ფირიკანო, ოლივეირა, სილვა

გაძევება: მუცი (80)

ბარი 0:2 ვიჩენცა

20 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, პ. ანონი (ფიჩინი 46; პარენტე 71), ქსავიერი (ბრიოსკი 71), მანიგეტი, რიჩი, სალა, გაუტიერი, პედონე, ანდერსონი, ინგესონი, პროტი

ვიჩენცა: მონდინი, ბელოტი, გროსი, ვიეიანი, ბიორკლუნდი, ლოპესი, ლომბარდინი (დიგნაციო 74), მ. როსი (ამბროზეტი 91), მურჯიტა, მაინი, ოტერო (ამერინი 88)

გოლი: ოტერო (55), ლოპესი (96)

გაფრთხილება: ანონი, პარენტე, მაინი, ბელოტი, გროსი

უდინეზე 0:0 პარმა

13 000 მაყურებელი

უდინეზე: გრეგორი, პელეგეი, ბერტოტო (მატრეკანო 74), ამეტრანო, კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი, ბირპოპი (ბორგონოვო 89), სტროპა (შალიმოვი 79), პოჯი

პარმა: ბუფი, მუსი (დი კიარა 73), ბენარიეო, მინოტი, აპოლონი, კანავარო, სენსინი, კრიპა, მელი (კატანეზე 17), პინი, სტოიჩკოვი

გაფრთხილება: კალორი, აპოლონი, სტოიჩკოვი

პადოვა 1:3 ლაციო

13 501 მაყურებელი

პადოვა: ბონაიუტი, კოპოლა (ფიორე 74), გაბრიელი, კუიკი, ჯამპიეტრო, როზა, კრეეკი, ნუნციატა, ამორუზო, ლონგი, ვლაოვიჩი

ლაციო: მარკეზანი, გოტარდი, ფავალი, დი მატეო (მარკოლინი 63), შამოტი, ნეგრო, რამმაუდი, ფუზერი, კაზირაგი, ვინტერი (პიოვანელი 83), სინიორი

გოლი: სინიორი (34), კაზირაგი (66), ფუზერი (84), ამორუზო (91 პ)

გაფრთხილება: ფუზერი

გაძევება: ნუნციატა (43), შამოტი (92)

რომა 1:0 ტორინო

48 485 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, კარბონი, სტატუტო, პეტრუჩი, ლანა, მორიერო (კაპიოლი 36), ტერნი, ბალბო, ტოტი (დი ბიაჯო 38), დელვეკიო (ფონსეკა 79)

ტორინო: კანიატო, ფალკონე, სოლიანო (მეცანო 69), ბაჩი, მალტალიატი, კრავერო (ლონგო 37), ანგლომა, მილანეზი, რიციტელი, მინაუდო, კარიჩი (დიონიჯი 46)

გოლი: სტატუტო (16)

გაფრთხილება: ლანა, დელვეკიო, ჩერვონე, სტატუტო, ფალკონე, მინაუდო

გაძევება: ტერნი (44), მინაუდო (44)

იუვენტუსი 1:1 მილანი

გოლი: კონტე (3); ვეა (30)

მილანი	23	14	8	1	37:16	50
ფიორენტინა	23	13	6	4	38:20	45
პარმა	23	11	9	3	33:19	42
ლაციო	23	11	6	6	45:26	39
იუვენტუსი	23	11	6	6	36:23	39
ინტერი	23	9	8	6	30:18	35
რომა	23	9	7	7	29:22	34
ვიჩენცა	23	8	8	7	24:22	32
სამპდორია	23	8	7	8	33:33	31
უდინეზე	23	8	7	8	26:29	31
ნაპოლი	23	7	8	8	22:29	29
კალიარი	23	8	3	12	22:36	27
ატალანტა	23	7	5	11	25:36	26
პიაჩენცა	23	6	6	11	23:41	24
პადოვა	23	6	3	14	27:40	21
ტორინო	23	4	9	10	21:34	21
ბარი	23	4	6	13	32:49	18
კრემონეზე	23	3	8	12	26:36	17

ბომბარდირები:

პროტი (ბარი) — 16

ბატისტუტა (ფიორენტინა) — 16

სინიორი (ლაციო) — 15

ბრანკა (ინტერი) — 13

სერია B

24-ე ტური. ანკონა — ფიდერისანდრია 1:1; აველინო — პისტოიზე 2:0; ბოლონია — ვერონა 0:0; კიეკო — კოზენცა 3:0; პალერმო — ლუკეზე 2:2; პერუჯა — ჩეზენა 2:2; რეჯანა — ჯენოა 0:0; რეჯინა — ფოჯა 1:0; სალერნიტანა — ბრეშია 3:0; ვენეცია — პესკარა 2:1

ჩეზენა	24	10	8	6	33:23	38
ვერონა	24	10	8	6	26:21	38
პერუჯა	24	9	9	6	30:25	36
ბოლონია	24	8	12	4	20:15	36
პესკარა	24	9	7	8	29:30	34
სალერნიტანა	24	8	9	7	25:18	33
ანკონა	24	10	3	11	34:30	33
ლუკეზე	24	7	12	5	26:26	33
რეჯანა	24	8	9	7	22:22	33
ვენეცია	24	8	9	7	21:24	33
აველინო	24	9	5	10	27:30	32
ჯენოა	24	8	7	9	34:32	31
პალერმო	24	6	13	5	18:23	31
ფანდრია	24	7	9	8	29:26	30
კოზენცა	24	6	12	6	26:27	30
კიეკო	24	5	14	5	22:19	29
რეჯინა	24	7	8	9	23:33	29
ბრეშია	24	7	6	11	28:29	27
ფოჯა	24	6	8	10	17:26	26
პისტოიზე	24	4	8	12	20:31	20

ინგლისი

28-ე ტური. ბლეკბერნი — ლივერპული 2:3; ქოვენთრი — მიდლსბრო 0:0; ევერტონი — ნოტინგემი 3:0; საუთ უმპტონი — ჩელსი 2:3; ტოტენჰემი — შეფილდი 1:0; ვესტ ჰემი — არსენალი 0:1; უიმბლდონი — ასტონ ვილა 3:3; მანჩესტერ სიტი — ნიუკასლი 3:3; ბოლტონი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:6

ნიუკასლი	27	19	4	4	52:25	61
მანჩესტერ იუნ	28	17	6	5	56:30	57
ლივერპული	27	15	7	5	53:24	52
ასტონ ვილა	26	13	7	6	38:22	46
ტოტენჰემი	26	12	9	5	34:24	45
არსენალი	27	12	8	7	35:25	44
ევერტონი	28	12	7	9	42:30	43
ჩელსი	28	11	9	8	34:30	42
ბლეკბერნი	27	12	5	10	42:31	41
ნოტინგემი	27	10	10	7	35:38	40
ლიდსი	25	10	5	10	31:37	35
ვესტ ჰემი	27	10	5	12	30:37	35
მიდლსბრო	28	9	7	12	28:37	34
შეფილდი	27	7	8	12	36:43	29
საუთჰემპტონი	26	5	10	11	27:39	25
უიმბლდონი	27	6	7	14	39:55	25
ქოვენთრი	27	5	10	12	33:49	25
მანჩესტერ სიტი	27	6	7	14	19:39	25
ქუინზ პარკი	27	6	3	18	22:41	21
ბოლტონი	28	4	4	20	28:58	16

ესპანეთი

28-ე ტური. ბარსელონა — ბეტისი 1:0; ვალენსია — ოვიედო 3:1; კომპოსტელა — რეალი 3:3; სალამანკა — რაიო ვალეკანო 1:2; ტენერიფე — სარაგოსა 1:2; ალბასეტე — მერიდა 2:0; სოსიედადი — ვალიადოლიდი 1:0; სანტანდერი — დეპორტივო 2:1; ატლეტიკო — სელტა 3:2; ხიხონი — ესპანიოლი 2:3; სევილია — ატლეტიკი 1:1

ატლეტიკო	28	20	4	4	52:16	64
ბარსელონა	28	16	8	4	51:22	56
კომპოსტელა	28	16	5	7	40:33	53
ვალენსია	28	16	4	8	52:35	52
ესპანიოლი	28	14	9	5	39:23	51
რეალი	28	12	8	8	52:40	44
ბეტისი	28	11	11	6	38:31	44
ტენერიფე	28	11	9	8	44:40	42
სოსიედადი	28	11	8	9	36:36	41
დეპორტივო	28	11	7	10	45:25	40
სელტა	28	8	9	11	29:35	33
სარაგოსა	28	8	9	11	32:39	33
ატლეტიკი	28	8	9	11	30:39	33
სანტანდერი	28	7	10	11	29:45	31
ალბასეტე	28	7	9	12	39:52	30
სევილია	28	7	9	12	27:40	30
ოვიედო	28	7	8	13	29:42	29
ხიხონი	28	8	4	16	35:42	28
რაიო ვალეკანო	28	7	7	14	29:47	28
მერიდა	28	5	12	11	23:38	27
სალამანკა	28	5	9	14	39:49	24
ვალიადოლიდი	28	5	8	15	33:48	23

გერმანია

მე-20 ტური. კაიზერსლაუტერნი — ზანქტ პაული 0:0; ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი 0:0; კარლსრუე — ვერდერი 1:1; მიუნხენი — აინტრახტი 3:1; ფრაიბურგი — შტუტგარტი 2:1; ფორტუნა — შალკე 2:0; დორტმუნდი — პაბნა 1:2; ურდინგენი — ბაიერნი 1:6

დორტმუნდი	19	12	5	2	46:23	41
ბაიერნი	20	13	2	5	44:25	41
გლადბახი	19	9	3	7	28:31	30
ჰამბურგი	18	7	8	3	31:24	29
პაბნა	18	7	7	4	30:23	28
შტუტგარტი	19	7	7	5	41:36	28
მიუნხენი	20	7	6	7	30:29	27
ლევერკუზენი	18	6	8	4	22:15	26
შალკე	18	6	7	5	21:25	25
აინტრახტი	20	6	6	8	32:37	24
კარლსრუე	20	5	8	7	29:32	23
ზანქტ პაული	19	5	6	8	27:31	21
ფრაიბურგი	19	5	5	9	14:24	20
კაიზერი	19	3	10	6	19:25	19
კოლნი	18	3	9	6	18:22	18
ვერდერი	18	3	9	6	18:24	18
ფორტუნა	19	3	8	8	18:33	17
ურდინგენი	19	2	8	9	16:29	14

ქართული ფეხბურთი ევროპული კანონებით იცხოვრებს

— მართალია, აფეთქდა, მაგრამ მე მას ბომბს კი არა, ხელყუმბარას ეუწოდებდი — თქვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, როდესაც „ხარბიელის“ წინა ნომერს დაზედა, სადაც პირველ გვერდზე დიდი ასოებით გვეწერა: „ბოსმანის ბომბი აფეთქდა“.

მოკლედ შეგახსენებთ: 19 თებერვალს, ლონდონში, უეფას პრეზიდენტმა იუანსონმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია ემორჩილება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ბოსმანის საქმესთან დაკავშირებით. რაც ნიშნავს, რომ ევროპულ ფეხბურთში შეიცვალა ორი წესი: ერთი, გუნდებს ლიმიტი მოეხსნათ და მოედანზე ერთდროულად რამდენსაც მოისურვებენ, იმდენ უცხოელს გაიყვანენ; მეორე, მოთამაშე, რომელსაც კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა, ხდება ევრეთ წოდებული თავისუფალი აგენტი ანუ ახალი გუნდის არჩევაში თავისუფალი შეიქმნება. ყოფილი კლუბი მასში საკომპენსაციო თანხას ვეღარ მოითხოვს.

როგორ და რამდენად ეხება ეს სიახლე საქართველოს?

— საფლეისოდ ასეთი მდგომარეობაა — თუ ტრანსფერი საქართველოში ხორციელდება, ახალი კლუბი ძველს ფულს უხდის. თუ ფეხბურთელი საქართველოს რომელიმე გუნდიდან უცხოეთში გადადის (სულერთია, ევროკავშირის წევრ თუ არაწევრ ქვეყანაში), იგივე ხდება. მაშინაც კი, როდესაც ტრანსფერი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შიგნით მიმდინარეობს, ანუ, ვთქვათ, მოთამაშე გერმანიის ერთი გუნდიდან მეორეში მიდის, საკომპენსაციო თანხა გადასახდელია. ჯერჯერობით სიახლე შეეხება მხოლოდ ევროკავშირის ერთი ქვეყნის გუნდიდან მეორე ქვეყნის გუნდში მიმავალ ფეხბურთელებს — გვითხრა ახალკაცმა.

ეს ჯერჯერობით. რა უნდა იყოს მომავალში? უეფას, რომელიც კონტინენტურ საკლუბო შეჯიბრებებს ატარებს, აუცილებელად მოუწევს ახალი, ყველასთვის საერთო კანონის მოფიქრება. წინაალმდეგ შემთხვევაში დაირღვევა თავად შეჯიბრებათა არსი. დაუშვებელია, ზოგ გუნდს (იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნიდანაა) ერთი კანონით შეეძლოს ძოქმედება, ზოგს კი მეორეთი. ეს იგივეა, ორი მოკრივიდან ერთს ხელში კეტს დაჭერის ნება მისცე, მეორეს კი ხელთათმანი ჩააცვა. ბურუნი ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში უნდა გაიფანტოს, როდესაც უეფას და ფიფას თავყრილობებია დანიშნული. 29 ივნისამდე, როდესაც უეფა შეიკრიბება, ითხი თვეა. ამის შემდეგ 3 ივლისს, ფიფას კონგრესზე განხილავენ ზემოხსენებულ პრობლემას. აი, ამ ოთხ თვეში უნდა მოიფიქრონ იუანსონმა და მისმა კოლეგებმა ახალი, საერთო ევროპული ფეხბურთის გადარჩენის ხერხი. მანამდე კი არსებობს კლუბებს შორის დადებული ჯენტლმენური თანხმობა, რომლის მიხედვითაც სეზონის ბოლომდე ისინი ძველ წეს-კანონებს უნდა დაემორჩილონ. ნეტამც ასე იქნებოდეს, მაგრამ ჯენტლმენობა თუ არაჯენტლმენობა, მოვეხსენებათ, იურიდიული ცნება არ არის. ასეთი თანხმობის დარღვევისათვის არც ვინმეს დაიჭერენ, არც დაჯარიმებენ. ვფიქრობთ, საკმარისია რომელიმე კლუბმა ფიცი დაარღვიოს, რომ ცოდვის ტრიალი ატყდება. „ძალანი“, შესაძლოა, ადგეს და, ვინც უცხოელი ჰყავს, ყველა შეასიოს მეტოქეს. ჰოლანდიელებს უკვე განუცხადებიათ, ჩვენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას დავემორჩილებითო. ისიც გავიხსენოთ, რომ გავრცელდა ცნობა, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შვედი ფალინი წაჰგვარა ისე, რომ საკომპენსაციო თანხას არ უხდიხო.

ზემოთ ვახსენეთ, 29 ივნისს უეფა ალბათ რაიმეს გადაწყვეტს და 3 ივლისს ამ გადაწყვეტილებას ფიფა განიხილავსო. აქ კიდევ ერთი კვანტია მოსალოდნელი. სულაც არაა აუცილებელი, რომ ფიფამ ევროპელი ქვეშევრდომის მიერ მოფიქრებული გამოსავალი მოიწონოს. ასე, მაგალითად: მდიდარი კლუბების გავლენით, აქაოდა, ჩემგან დამოუკიდებელი უკრაუული სუპერ-ლიგა არ შექმნანო, უეფამ 1997 წლიდან ჩემპიონთა ლიგის 32 გუნდამდე გაზრდა განიზრახა. ფიფას ეს იდეა არ მოსწონს. მისი აზრით, ირღვევა კლასიკური საფეხბურთო პირამიდა: ზემოთ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, შუაში მასზე დამოკიდებული კლუბები, ძირში კი ბავშვთა სკოლების ქსელი. მართლაც, ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მაგვარის მოწყობა, ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა მნიშვნელობას აკნინებს. მცირდება ეროვნული პირველობების მნიშვნელობებიც. ამგვარად, თუკი უეფამ გამოსავლად ამ პირამიდის დარღვევა ან რაიმე ამგვარი ტენდენცია მიიწინა, ფიფა წინ აღუდგება. გარდა ამისა, გასათვალისწინებია ეროვნული მოშეტტებიც. მოგეხსენებათ, უეფას პრეზიდენტი და ფიფას ხელმძღვანელობა უბრად არიან.

— მომავლის შესახებ კონკრეტულად რაიმეს თქმა შეუძლებელია — აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

მართლაც ასეა, ისიც სრული ჭეშმარიტებაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ რომ ბრძანა, პროცესები ძლიერთა კარნახით და მათ სასარგებლოდ მიმდინარეობსო. სუპერკლუბებს მოედანზე ფაქტობრივად, მსოფლიო ნაკრებების გამოყვანა შეეძლებათ. რაღა ჰქნან შედარებით, ან სულაც ღარიბებმა, რომელთა შემოსავლის წყაროს დიდ ნაწილს მოთამაშის აღზრდა და მისი ძლიერ კლუბებისთვის მიყიდვა წარმოადგენდა? იმაში, რომ ფეხბურთელი გაზარდეს, ასწავლეს, კვებეს და გზაზე დაყენეს, კომპენსაციაც არ აიღონ? ნუთუ ეს კლუბები უნდა გაკოტრდნენ და ფეხბურთი მარტო „ძალანმა“, „იუვენტუსმა“, „ბარსელონამ“, „ბაიერნმა“ და მისთანებმა უნდა ითამაშონ? ამის საწინააღმდეგოდ, ცხელ ბულზე გრძელვადიანი კონტრაქტები გამოიგონეს. ჯერჯერობით ყველაზე ეფექტური ეს ჩანს.

აღარას ვამბობთ ეროვნულ საკითხზე. კლუბები, რომლებიც შვიდი-რვა-ცხრა უცხოელით ითამაშებენ, ეროვნული ფეხბურთის განვითარებას ვეღარ მოემსახურებიან. ისინი დიდ თანხებს აღარც ბავშვთა სკოლების დაფინანსებაზე გაიღებენ. რაღად უნდათ, ბარემ ჩამოყალიბებულ ვარსკვლავებს გადაიბირებენ სხვადასხვა ქვეყნებიდან და კონტინენტებიდან. თანაც მუქთად. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ერთიც ვთქვათ — ნაკრებების ამბავი. თუკი ყბადაღებულ ევროკავშირში მშრომელთა თავისუფალი გადადგილების კანონი მოქმედებს და თან გერმანელი ან ფრანგი, ინგლისსა თუ იტალიაში უცხოელად არ ითვლება, მაშ მალე ამასაც იტყვიან, მათ ერთმანეთის ნაკრებში თამაშს ნუ დავუშლითო. მათი ლოგიკით ხომ აკრძალვაც ადაძახის უფლებათა ძეხლეფა იქნება. მერე რა, რომ, ვთქვათ, ლუმპანი საფრანგეთის ნაკრებში გამოდიოდა, ახლა იტალიის ნაკრებში თუ მოისურვა. რაგორ და რატომ უნდა დაუშალონ?! ამ საკითხისთვის ჯერ არ სცალიათ, მაგრამ გულს ეჭვი ღრღნის, რომ აუცილებლად მოიცლიან და მერე ნახეთ ახალი საშინელება.

ახლა სოციალური მხარეც ვნახოთ. ზემოხსენებული ბავშვთა სკოლების რაოდენობა უმნიშვნელო პროცენტითაც რომ შემცირდეს, გაჩნდებიან უმუშევარი მასწავლებლები და სხვა მომსახურე პერსონალი, ბევრი ბავშვს კი, დღეს ფეხბურთი რომ იცავს, ქუჩის ცხოვრება წალეკავს.

მოკლედ, ევროპულ ფეხბურთში მართლაც დიდი არეულობაა. ჩვენ, საქართველო, როგორც უეფას წევრი, ამ არეულობის შედეგებს ვერაფრით ავიცილებთ თავიდან. სანამ ჰორიზონტზე ახალი წესრიგი გამოჩნდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის ლევან გორგელაშვილის თქმით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ნორმებით (კანონი შრომით ხელშეკრულებაზე) და სატრანსფერო სერტიფიკატების გაცემის კანონებით ვიხელმძღვანელებთ. ისევე, როგორც ადრე.

ხვალემ კი ხვალისა იკითხოს. ამ ისტორიაში ქართველები მოვლენებს ვერ განვახორციელებთ, პირიქით, სხვებზე ვართ დამოკიდებული.

სხვები კი თავად არიან დაბნეულები. ჰოლანდიელებზე ზემოთ მოგახსენეთ. იტალიელებმა მოილაპარაკეს, რომ თავიანთ ჩემპიონატს ძველი წესებით ჩამთავრებენ — სამ უცხოელზე მეტს ერთდროულად არ ათამაშებენ. შვედები, რომლებიც ცოტა ხანში ახალ სეზონს დაიწყებენ შეზღუდვებს მოხსნიან, ოღონდ მხოლოდ ევროკავშირელებზე. ნორვეგია, რომელიც ევროკავშირის წევრი არ არის, ასევე უქმებს ლიმიტს. ინგლისელები კი, პირველნი რომ გამოეხმაურნენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, შორს წავიდნენ. ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა შეაჩერა ამ ქვეყნის კლუბებში უცხოელთა მიღება, სანამ სახლვარგარეთელი ფეხბურთელებისათვის მუშაობის ნებართვის მიცემა-არმიცემაზე ახალ კანონს მოიგონებენ.

ილია გაბუნაშვილი

ფეხბურთის რეპანთან

შვედეთის ნაკრებმა გუშინწინ ბრისბენში ავსტრალიის ეროვნული გუნდი 2:0 დაამარცხა. ორივე გოლი ანდრეას ანდერსონმა გაიტანა 86-ე და 87-ე წუთებზე.

საფრანგეთში თასის მერვედფინალის შვიდი მატჩი გაიმართა. „ოსერმა“ შინ „პარი სენ-ჟერმენი“ 3:1 დაამარცხა, „ლილმა“ „მონაკოს“ უმასპინძლა და ძირითადი დროის 1:1 დამთავრების მერე პენალტებით 5:4 მოიგო. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ნიორი — სტრასბური 0:1, ბლენო — მარსელი 0:2, ტუარი — ნიმი 0:2, ტულონი — მონბელიე 1:1 (პ 1:4), ვალანსიელი — ლავალი 1:0. „კაენსა“ და „სოშოს“ მატჩი ხვალ გაიმართება. თასის მატჩები ჩატარდა პორტუგალიაშიც, ოღონდ მეოთხედფინალებისა: ლეირია — მარიტიმუ 2:1, ბენფიკა — გიმარაეში 1:0 (დ. დ.), ოლიანენსე — სპორტინგი 1:2, პორტუ — პენაფიელი 2:0. აქ ნახევარფინალები 10 აპრილს გაიმართება.

ინგლისში კი ლიგის თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში „ლიდსმა“ 3:0 მოუგო „ბირმინგემ სიტის“ და ახლა 24 მარტს „უემბლიზე“ „ასტონ ვილას“ შეეცილება კოკა-კოლას თასსა და უეფას თასის საგზურს.

ბერლინაში, ქალაქ ვისბადენში მძიმე სენმა შეიწირა უდიდესი გერმანელი მწვრთნელი, 80 წლის ჰელმუტ შიონი. შიონმა გერმანიის ნაკრები 1972 წელს ევროპის, 1974 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

ჰელმუტ შიონი

ევროპის სუპეთასის საპასუხო შეხვედრა ამსტერდამის „აიაქსსა“ და „რეალ სარაგოსას“ შორის 28 თებერვალს გაიმართება. გეხსომებათ, პირველი მატჩი ესპანეთში 1:1 დამთავრდა, განმეორებითი კი 20 თებერვალს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ავდრის გამო გადაიდო. მატჩი ჩვენი დროით ღამის თორმეტის ნახევარზე დაიწყება და მას TVE გადასცემს.

ინგლისის მესამე ლიგის კლუბმა „სუონსი სიტიმ“ ბოლო ოთხ თვეში ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა. ახლანდელი, მეზუთე წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელი იან მიოლბიუ გახლავთ.

კოსტა რიკის ნაკრების მწვრთნელად ნიშნავენ მიგელ მეზია ბარონს, რომელიც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკის ნაკრების თავკაცი იყო. კოსტარიკელებს იმედი აქვთ, რომ ბარონის ხელმძღვანელობით მათი ნაკრები 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს.

კოლუმბიის ნაკრების მეკარე, კოლორიტული რენე იგიტა თავისი ქვეყნის მთავრობას 300 ათასი დოლარს სთხოვს. საქმე ისაა, რომ ორი წლის წინ მას 7 თვე საკანში გაატარებინეს, რადგან ბავშვის მოტაცების თანამონაწილე ეგონათ. იგიტა სასამართლომ გამართალა, ახლა კი კომპენსაციას ითხოვს.

შარშანდელი მატჩები
საბერძნეთი

ევროპა-95. ფინალი

იუგოსლავია 80:84
ლიტვა 73:89
იტალია 67:61
შვედეთი 86:68
ისრაელი 59:49
გერმანია 83:79
ესპანეთი 66:64
ხორვატია 68:73

ევროპა-97. შესარჩევი

ისრაელი 75:73
ბელარუსი 77:82
ბოსნია 76:73
სლოვაკეთი 80:64



ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი ტურნირი

ათენი, 28 თებერვალი

OLIMPIC BASKETBALL STADIUM



შარშანდელი მატჩები
საქართველო

ევროპა-97. საკვალიფიკაციო
პოლონეთი 68:81
დანია 97:86
ინგლისი 75:86
უელსი 101:73
ლუქსემბურგი 81:64

ევროპა-97. შესარჩევი

სლოვაკეთი 73:82
ბოსნია 77:66
ისრაელი 84:89
ბელარუსი 76:102

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთი — საქართველო

საფარაუდო შემადგენლობა

	ამპლუა	ასაკი	სიმაღლე	კლუბი
პანიოტის იანაკისი	უკანა ხაზი	37	193	პანათინაიკოსი
ეუტიმიოს ბაკაციასი	უკანა ხაზი	28	196	ოლიმპიაკოსი
ჯორჯ სიგალასი	უკანა ხაზი	25	200	ოლიმპიაკოსი
ელეუტერიოს კაკიუსისი	უკანა ხაზი	27	182	ირაკლისი
კოსტას პატავუკასი	უკანა ხაზი	30	193	პანათინაიკოსი
ნიკოს ბუდურისი	უკანა ხაზი	25	193	პაოკ
ფრაგიოს ალვერტისი	ფორვარდი	23	206	პანათინაიკოსი
ნიკოს ეკონომუ	ფორვარდი	24	206	პანათინაიკოსი
დინოს ანგელიდისი	ფორვარდი	27	208	არისი
თეოფანის ხრისტოდულუ	ფორვარდი	32	203	პანიონიოსი
პანიოტის ფასულასი	ცენტრი	32	213	ოლიმპიაკოსი
ეუტიმიოს რენციასი	ცენტრი	19	213	პაოკ
ცანისი სტავრაკოპულოსი	ცენტრი	22	210	პანათინაიკოსი

მწვრთნელი: მაკის დედრინოსი

საფარაუდო ხუთეულები

N1 იანაკისი
N2 სიგალასი
N3 ალვერტისი
N4 ეკონომუ
N5 ფასულასი

N5 შენგელია
N4 სტეფანია
N3 ქარაბაკი
N2 ჩხეიძე
N1 ბარამიძე

საფარაუდო შემადგენლობა

	ამპლუა	ასაკი	სიმაღლე	კლუბი
კახა ბარამიძე	უკანა ხაზი	21	192	ვითა
რეზო ჩხეიძე	უკანა ხაზი	22	199	კაჭტუსი
ირაკლი ვაშაკიძე	უკანა ხაზი	26	196	ვითა
დავით თორთლაძე	უკანა ხაზი	26	183	კაჭტუსი
მიხეილ კობეშავიძე	ფორვარდი	26	194	ვითა
გია სანაძე	ფორვარდი	32	195	ვითა
ლევან ქარაბაკი	ფორვარდი	19	203	ვითა
ვახტანგ ნაცვლიშვილი	ფორვარდი	20	204	მაუნტ-აიდა
ნიკოლოზ დერიუგინი	ცენტრი	36	206	ვითა
კახა შენგელია	ცენტრი	23	208	ვითა
ვლადიმერ სტეფანია	ცენტრი	19	212	ლიტოსტროი

მწვრთნელი: ბესიკ ლიპარტელიანი



ნიკოს გალისი 1987 წელს

საბერძნეთი ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე

1949 — 3
1951 — 8
1961 — 17
1965 — 8
1967 — 12
1969 — 10
1973 — 11
1975 — 12
1979 — 9
1981 — 9
1983 — 11
1987 — 1
1989 — 2
1991 — 5
1993 — 4
1995 — 4

საბერძნეთში კალათბურთის 1919 წლიდან თამაშობენ. თავდაპირველად ეს სახეობა ძირითადად სამხედრო ნაწილებში იყო დანერგილი. პირველი ტურნირიც არმიულ გუნდებს შორის მოეწყო და იგი ათენის „პანიონიოსმა“ მოიგო. შემდეგ კალათბურთის თამაში სკოლებში და უნივერსიტეტებშიც დაიწყეს. ქვეყნის პირველი ჩემპიონატი 1929 წელს შედგა და მისი გამარჯვებული ათენის აეკ-ი გახდა.

1932 წელს, ფიბას შექმნისთანავე, საბერძნეთი ამ ორგანიზაციის წევრი გახდა, თუმცა საერთაშორისო წესები მხოლოდ ორი წლის შემდეგ სცნო. ელადელებმა ევროპის ჩემპიონატში პირველად 1949 წელს იასპარეზეს და მე-3 ადგილი დაიკავეს. ეს იყო ბერძნული კალათბურთის ერთადერთი წარმატება 80-იან წლებამდე, ვიდრე ამ ქვეყანაში ნიკოს გალისი არ გამოჩნდა.

ეს ამერიკაში დაბადებულ-გაზრდილი ბერძენი კალათბურთის იქაურ კოლეჯ-უნივერსიტეტებში ეზიარა. 1979 წლის დრაფტში ივი „ბოსტონ სელტიქსმა“ ამოირჩია, მაგრამ გალისმა უარი თქვა NBA-ში თამაშზე და ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. სწორედ აქედან იწყება ბერძნული კალათბურთის რენესანსი. ნიკოსის დიდოსტატობამ იმდენად მოხიბლა ბერძენი ბიზნესმენები და იქაური ფირმები, რომ

საბერძნეთის ნაკრები 1995 წელს

მათ კალათბურთში დიდძალი ფულის ჩადება დაიწყეს. ამას მოჰყვა სამთავრობო დახმარებაც და შედეგიც: 1987 წელს საბერძნეთი ევროპის ჩემპიონი გახდა. გალისთან ერთად ბერძნულ კალათბურთში მოვიდა ნიჭიერი ახალი თაობა (ხრისოდულუ, ფასულასი, იანაკისი...), რომელთა უდიდესი ნაწილი ამჟამადაც თამაშობს და, სავარაუდოდ, ხვალ ქართველებსაც შეერკინება.

ევროთასებზე ორი გუნდით

მაშ ასე, საქართველო ევროთასების 1996-97 წლების გათამაშებაში ორ გუნდს გამოიყვანს: ერთს — ევროპის თასზე, მეორეს — კორაჩის თასზე. მართალია, ამ წლის ევროთასები არ დასრულებულა, მაგრამ მიმდინარე რეიტინგის გაცნობისთანავე იოლად მიხვდებით, რომ ჩვენს ქვეყანას მყარად უჭირავს 32-ე ადგილი, იქიდან ვერც წინ წავალთ, ვერც — უკან. ერთადერთი საფრთხე ესტონური კლუბისგან, ტალინის „კალევისგან“ გვქონდა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მან ვადაზე ადრე დასტოვა ევროთასები და თავის ქვეყანას იმდენი რეიტინგი ვერ დაუგროვა, საქართველოსთვის რომ გაესწრო.

ის 12 ქვეყანაც გარკვეულია, გაისიდან ევროპის საკალათბურთო ლიგაში (ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მაგიერ შეჯიბრებაში) გუნდებს რომ გამოიყვანს. ახლა დარჩენილ თამაშებში ბიბოლებს მხოლოდ ისღა ექნებათ გასარკვევი, ვინ რამდენ კლუბს მიაკლენს ლიგაში. ესპანეთი,საბერძნეთი და იტალია პირველ ოთხეულში უეჭველად მოხვდებიან, დიდი-დიდი, ერთმანეთში გაცვალონ ადგილები. შესაძლებელია, თურქეთმა შეაკიწროვოს საფრანგეთი. ამისთვის მისმა ორმა კლუბმა „ულკერმა“ და „ეფესმა“, შესაბამისად, ჩემპიონთა და თასების თასი უნდა მოიგონ. რუსეთსაც შეუძლია დაწინაურება. თუკი ცსკა წარმატებით იასპარეზებს, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ევროლიგაში მეორე საგზურსაც გამოპკრავენ ხელს. სხვა მხრივ, რეიტინგში ცვლილებები აღარ იქნება.

მოსალოდნელი ცვლილებები კი ამ მატჩებზეა დამოკიდებული:

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

მეოთხედფინალი. 7,12 და, თუ საჭიროა, 14 მარტი

პო-ორტეზი (საფრანგეთი) — ცსკა (რუსეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — რეალ-მადრიდი (ესპანეთი)
ულკერი (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბენეტონი (იტალია)

საჭიროების შემთხვევაში მესამე მატჩები გაიმართება მეორედ დასახელებული გუნდების მოედანზე. წყვილებში გამარჯვებულები 9-11 აპრილს პარიზში „ოთხთა ფინალს“ ითამაშებენ.

ევროპის საკლუბო თასი

ფინალი. 12 მარტი

ტაუგრესი (ვიტორია, ესპანეთი) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)
ფინალი ერთმატჩიანი. გაიმართება ვიტორიაში

კორაჩის თასი

ფინალი. 6 და 13 მარტი

სტეფანელი (მილანი, იტალია) — ეფეს-პილსენი (სტამბოლი, თურქეთი)

ფიბას რეიტინგი. 1995-96 წლების სეზონი

	ჯამური რეიტინგი	ჰყავდა კლუბი	დარჩა კლუბი
1. ესპანეთი	278,333	8	3
2. საბერძნეთი	266,333	8	3
3. იტალია	216,667	7	2
4. საფრანგეთი	123,238	7	1
5. თურქეთი	86,667	6	2
6. ხორვატია	63,333	7	—
7. გერმანია	61,389	6	—
8. ისრაელი	50,905	7	—
9. რუსეთი	44,667	5	1
10. სლოვენია	41,333	6	—
11. ბელგია	29,000	6	—
12. იუგოსლავია	26,000	6	—
13. პორტუგალია	24,500	5	—
14. ლიტვა	19,000	6	—
15. უკრაინა	15,389	5	—
16. მაკედონია	11,778	5	—
17. პოლონეთი	10,556	4	—
18. უნგრეთი	10,500	6	—
19. სლოვაკეთი	8,889	5	—
20. ჩეხეთი	8,389	5	—
21. ავსტრია	6,556	6	—
22. შვეიცარია	6,056	1	—
23. ინგლისი	5,389	6	—
24. კვიპროსი	5,000	5	—
25. შვედეთი	4,722	5	—
26. ბულგარეთი	4,000	4	—
27. ლატვია	3,667	—	—
28. ბოსნია	3,000	4	—
29. რუმინეთი	2,778	2	—
30. ლუქსემბურგი	2,167	3	—
31. პოლანდია	1,944	2	—
32. საქართველო	1,833	1	—
33. ფინეთი	1,667	2	—
34. ალბანეთი	1,444	3	—
35. ესტონეთი	1,389	1	—
36. ისლანდია	0,889	—	—
37. დანია	0,167	1	—
მოლდოვა	0,167	1	—
39. ირლანდია	0,111	—	—
40. ბელარუსი	0,056	1	—
უელსი	0,056	—	—

ქვეყნების წარმომადგენლობა 96-97 ევროთასებზე

ადგილი ფიბას რეიტინგში	ევროპის ლიგა	ევროპის თასი	კორაჩის თასი
1-4	3	2	4
5-8	2	2	4
9-12	1	2	4
13-16	—	2	4
17-20	—	1	4
21-24	—	1	3
25-28	—	1	2
29-32	—	1	1
33-48	—	—	1
სულ	24	48	120

სარჯიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

საფრანგეთის ჩემპიონატი. 29-ე ტური

27 თებერვალი

ნანტი — გენიონი	1,1	3,2	8,0
ოსერი — მეცი	1,5	2,7	4,0
ბორდო — სტრასბური	1,4	2,8	4,4
ლილი — მონპელიე	1,7	2,6	3,2
ბასტია — რენი	1,4	2,8	4,4
პარი სენ-ჟერმენი — ლანსი	1,3	2,8	5,6
სენტ-ეტიენი — ლიონი	1,6	2,6	3,6
გინგამი — მონაკო	1,7	2,6	3,2
მარტიგი — ლე ავრი	1,8	2,6	2,8

გერმანიის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

27 თებერვალი

ჰანზა — შალკე	1,5	2,7	4,0

გერმანიის თასის ნახევარფინალი.

27 თებერვალი

კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი	1,6	2,6	3,6

28 თებერვალი

კარლსრუე — ფორტუნა	1,3	2,8	5,6

ევროპის სუპერთასი. საპასუხო მატჩი

28 თებერვალი

აიაქსი — სარაგოსა	1,4	2,7	4,7

ინგლისის თასის მერვედფინალი

27-29 თებერვალი

ლივერპული — ჩარლტონი	1,1	3,1	9,0
უიმბლდონი — ჰადერსფილდი	1,2	3,0	6,5
საუთჰემპტონი — სვინდონი	1,2	3,0	6,5
პორტ ვეილი — ლიდსი	3,0	2,7	1,7
ნელსი — ბრიმბსი	1,1	3,1	9,0
ნოტინგემი — ტოტენჰემი	1,8	2,6	2,8

იტალიის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

27-28 თებერვალი

ინტერი — ფიორენტინა	1,5	2,7	4,0
ატალანტა — ბოლონია	1,	2,7	4,7

ესპანეთის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

28-29 თებერვალი

ატლეტიკო — ვალენსია	1,4	2,8	4,4
ესპანიოლი — ბარსელონა	2,0	2,5	2,5

ფსონების შესაძლო ცვლილებები დაუსტეთ ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამობვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განსაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდეეც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი ნაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვერარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე

სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE	■	0-0		2-0		1-3	1-0	1-1		1-1			0-1	3-5	0-0	3-3	3-2		1-3	4-2	4-0	
2	RCD ESPAÑOL BARCELONA	1-0	■				0-0		0-2		3-1		1-0	1-1	0-0	1-1	3-1		2-1	2-0	2-0	2-2	
3	FC BARCELONA	3-0	2-1	■	4-1		1-0	1-1		2-0	3-0	4-1	1-1	3-1			1-1		1-1	1-0	1-0		2-0
4	ATHLETIC DE BILBAO		0-0		■		2-1	1-0	0-2		0-5	0-1	4-0	1-0	0-0	0-1		1-1		2-1	3-0		1-1
5	SD COMPOSTELA	3-1	2-1	2-1	2-1	■	1-0	4-0		1-0		4-1	2-0	3-2			0-0			1-3	1-1	1-0	
6	SPORTING GIJON	3-0			1-2		■		1-2		0-0		4-2	1-1	1-1	2-3	3-2	3-1		1-3	4-2	1-0	
7	DEPORTIVO LA CORUÑA	5-0	0-1			2-0	1-0	■			3-0		2-3	2-3	1-1	0-0	2-0		1-1	3-0	3-1		
8	ATLETICO DE MADRID		2-1	3-1	4-1	3-0	2-0	1-0	■	0-0		3-0	2-0		4-1			0-1	3-1				1-1
9	RAYO VALLECANO	2-0	1-0	1-1		0-1	2-0	0-6		■	1-5	1-2	1-2			1-2	1-4			3-2			4-1
10	REAL MADRID CF			1-1	1-2	2-1			1-0	1-2	■	2-3		2-2	3-2	4-2		4-1	2-0	0-0	4-1	1-0	
11	REAL OVIEDO	1-0	1-2	1-2	0-0		1-0	0-2		2-0	1-2	■	2-1	1-1		0-1	2-2			0-1			0-0
12	RACING SANTANDER	5-5	1-1		1-1		1-1		0-4		2-0		■	0-0		0-0	2-1	1-1		0-3	0-0	2-1	
13	REAL ZARAGOZA			0-3		1-0			0-1	1-1		1-0		■	1-2	1-2	1-1	0-1	0-2	4-1	5-3	0-0	
14	REAL SOCIEDAD		0-1	1-1		0-1	2-0	2-1	1-0	2-1		1-1	2-1		■			1-0	0-1			3-1	1-2
15	REAL BETIS SEVILLA			1-5	0-0	5-0			2-1	0-0	0-0	2-1		3-1	3-1	■		1-1	3-3		3-0	0-3	0-1
16	SALAMANCA		2-2		2-1			0-5	1-3		0-2			0-1	3-3	2-1	■	4-1	1-2	4-0	0-0	0-1	2-2
17	SEVILLA FC	1-1	0-3	1-0		0-1	2-0	0-0	0-0	1-0		1-1	0-1		2-1			■	0-1				3-0
18	CD TENERIFE	1-3	1-4	1-1	3-2	1-1	3-0	1-1		2-2		3-3	2-0					4-2	■		1-0	1-0	1-0
19	VALENCIA CF				3-1	5-2		2-1	0-1	3-0	4-3			0-0	0-1	1-1		1-0		■	1-0	3-0	4-1
20	REAL VALLADOLID	3-0		0-2	2-2	0-0			0-1	1-1		2-2			3-0		1-0	3-3	3-0	2-5	■	1-1	1-1
21	RC CELTA VIGO	2-2		1-0		0-1		0-0	0-3	2-0		1-0	0-0		1-1		2-1	4-0	2-2			■	2-0
22	MERIDA	1-1	0-1	0-0		0-2	1-0	0-2			2-2		3-1	1-1		1-1	0-0		2-0	0-2			■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	BAYER 04 LEVERKUSEN	■	2-1		1-1		2-0	0-1		0-1						1-1	0-0		2-2
2	BAYER UERDINGEN		■		0-2		1-1			1-1	1-1	1-1			2-0	2-5	1-1		3-0
3	FC BAYERN MÜNCHEN	1-0	2-0	■		1-2		2-0		3-2			1-4				4-0	5-3	2-0
4	BORUSSIA DORTMUND			3-1	■	2-1			3-0			1-1	4-1	3-0	3-1			6-3	
5	BORUSSIA MÖNCHENGLADBACH	0-0	2-1			■	4-1	1-0		1-2						2-4	4-1		1-0
6	EINTRACHT FRANKFURT		1-0	4-1	3-4		■		3-0			3-1	2-2	1-0	4-2	2-2			
7	SC FREIBURG		1-1		0-1	0-0	2-0	■		0-3	2-1					0-2	1-2		0-1
8	FORTUNA DUSSELDORF	1-1	1-0	0-2		3-2		0-0	■	2-2	2-2			1-1				1-2	
9	HAMBURGER SV			2-1	2-2		5-1			■	1-1	1-0	0-0		2-2	1-0	1-1		3-3
10	HANSA ROSTOCK	1-2		0-0	3-2	2-3	1-1				■	3-0				2-0		3-3	
11	1. FC KAISERSLAUTERN	1-0		2-3	1-1	1-3		1-2	2-0			■	2-2	1-1	0-0			1-1	
12	KARLSRUHER SC	1-4	2-0	2-6		4-0	1-1	1-1	3-1		0-2		■	1-0				1-2	
13	1. FC KÖLN	2-2	0-0	0-0		0-2		1-1	0-0	3-2	3-0			■			0-1	2-2	
14	TSV 1860 MÜNCHEN	0-1		0-2		4-0		3-0	2-1		1-1		1-1	2-1	■	2-0		1-1	
15	ST. PAULI HAMBURG			0-1	0-3				2-1			1-2	1-1	3-3	4-2	■		1-3	
16	FC SCHALKE 04				1-2		2-0		1-1		1-3	1-1	2-1		1-1	2-0	■		2-1
17	VfB STUTTGART	1-4	0-0			5-0	3-2	3-1		3-0					2-3		2-2	■	1-1
18	WERDER BREMEN				2-2		1-1		1-1		0-2	1-1	1-0	0-1	2-0	1-1			■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ATALANTA	■				1-3	1-1	0-1		0-1	1-3		1-1	2-0	2-1	3-2		0-0	3-1
2	BARI	1-3	■	3-0			4-1		3-3	1-0	1-1		1-1	0-0		1-3	2-2		
3	CAGLIARI	2-0		■	1-0	0-0		0-0	0-1		2-0	0-1			0-2	3-0	1-0	4-1	
4	CREMONESE	1-1	7-1		■	0-0		3-3		0-0		2-1	0-2		0-1	0-0	1-1	2-2	
5	FIORENTINA		3-2	3-1	3-2	■	1-1		2-0	2-2			1-0	2-1			2-0	3-0	1-1
6	INTER			4-0	2-0		■		0-0	1-1	4-0		1-1	0-0	2-0		4-0	2-1	1-0
7	JUVENTUS		1-1	4-1	4-1	1-0	1-0	■			1-1	3-1		2-0	0-2		5-0		1-0
8	LAZIO	5-1	4-3	4-0	2-1			4-0	■	0-1		2-0		4-1	1-0	6-3	1-1	2-2	
9	MILAN	3-0	3-2	3-2				2-1		■	0-0	1-0		3-0	3-1	3-0	1-1	2-1	
10	NAPOLI	2-0	1-0		0-0	0-2	2-1	0-1	1-0		■	2-0	1-1		0-2				1-1
11	PADOVA	3-2	3-0			0-1	2-1			1-2	4-2	■	1-3	1-1		1-1	1-1		3-2
12	PARMA	2-0		4-0		3-0	2-1	1-1	2-1	0-0		2-1	■	3-2		1-0		1-0	0-1
13	PIACENZA	2-2	3-2	1-1	2-1		1-0	0-4	2-1		0-1			■	1-0	3-2		0-2	
14	ROMA	0-1	2-1		3-0	2-2			0-0	1-2		2-0	1-1		■	3-1			1-1
15	SAMPDORIA			1-2	2-0	2-1	0-0	2-0			2-2		3-0		1-1	■	1-0	1-0	2-2
16	TORINO	0-1	3-1			0-3	0-1				0-0	2-0	2-2	4-2	2-2	1-1	■		1-0
17	UDINESE		1-2	1-0	3-2			1-0	1-1	0-2	3-2	3-1			1-1		1-0	■	1-1
18	VICENZA		2-0	0-1	1-0	1-0	1-1	2-1	1-0	1-1		2-1		1-1				0-1	■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	FC ARSENAL	■	2-0	0-0		1-1	1-1	1-2				1-0	1-1		1-1	3-0	4-2	4-2		1-0	1-3
2	ASTON VILLA	1-1	■		1-0	0-1	4-1	1-0	3-0	0-2		3-1		1-1	1-1				2-1		2-0
3	BLACKBURN ROVERS		1-1	■	3-1	3-0	5-1				2-0	1-2	1-0		7-0	1-0	3-0	2-1	2-1	4-2	
4	BOLTON WONDERERS	1-0	0-2	2-1	■		1-2	1-1	0-2	0-1			1-1	1-3	1-1	0-1				0-3	1-0
5	FC CHELSEA	1-0			3-2	■	2-2	0-0		2-2		1-4	5-0	1-0	1-0		0-0	3-0	0-0	1-2	1-2
6	COVENTRY CITY	0-0	0-3	5-0		1-0	■	2-1			2-1	0-4		0-1	1-1		0-1	1-1	2-3		3-3
7	FC EVERTON	0-2		1-0		1-1		■	2-0		2-0	2-3	4-0	1-3		2-0	2-2	2-0	1-1	3-0	
8	LEEDS UNITED	0-3	2-0	0-0		1-0	3-1		■	1-0	0-1	3-1				1-3	2-0			2-0	1-1
9	FC LIVERPOOL	3-1		3-0	5-2	0-0	1-2	5-0	■	6-0	2-0				4-2	1-0	1-0	1-1	0-0		
10	MANCHESTER CITY	0-1	1-0		1-0	0-1	1-1	0-2	0-0		■		0-1		1-1	2-0			1-1	2-1	1-0
11	MANCHESTER UNITED		1-1	1-0	3-0	1-1			2-2	1-0	■	2-0	2-0		2-1	2-2	4-1			2-1	3-1
12	MIDDLESBROUGH	2-3	0-2	2-0	1-4	2-0	2-1		1-1	2-1	4-1		■	1-2		1-0		0-0	0-1	4-2	
13	NEWCASTLE UNITED	2-0		1-0	2-1	2-0	3-0	1-0	2-1	2-1	3-1		1-0	■	3-1		2-0				6-1
14	NOTTINGHAM FOREST	0-1	1-1		3-2	0-0		3-2	2-1		3-0	1-1	1-0		■		1-0	1-0		1-1	4-1
15	QUEEN'S PARK RANGERS		1-0	0-1	2-1	1-2	1-1			1-2	1-0		1-1	2-3	1-1	■	0-3		2-3		0-3
16	SHEFFIELD WEDNESDAY			2-1	4-2		4-3		6-2	1-1	1-1	0-0	0-1	0-2		1-3	■	2-2	1-3	0-1	2-1
17	F SOUTHAMPTON	0-0	0-1		1-0			2-2	1-1	1-3	1-1		2-1	1-0	3-4	2-0		■	0-0	0-0	
18	TOTTENHAM HOTSPUR	2-1	0-1		2-2			0-0	2-1	1-3	1-0	4-1		1-1	0-1	1-0			■	0-1	3-1
19	WEST HAM UNITED		1-4	1-1		1-3	3-2	2-1	1-2	0-0		0-1			1-0	1-0		2-1	1-1	■	
20	FC WIMBLEDON			1-1	3-2			2-3	2-4	1-0		2-4	0-0	3-3		2-1	2-2	1-2	0-1	0-1	■

გაზეთი „ოლიმპიელი“ გეპატიჟებათ ატლანტაში

აქ გელით წლევანდელი სპორტული სეზონის გრანდიოზული შეჯიბრება, უდიდესი სიამოვნება და საამური ცხოვრება!

ოღონდ ამ განცხადებას ჯიბეგაფხეკილნი ნუ წაიკითხავთ, ამერიკაში მოგზაურობა მეტად ძვირი სიამოვნებაა

I ვარიანტი

ვისაც სურს დაესწროს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებს, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ კომპლექტდება ტურისტული ჯგუფი აშშ-ში 18-დან 27 ივლისამდე და 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე გასამგზავრებლად ავიამარშრუტით: თბილისი-მოსკოვი-ატლანტა-მოსკოვი-თბილისი. ატლანტაში ტურისტები იცხოვრებენ სასტუმრო „კომფორტნნ“-ში (ქალაქის ცენტრში, მეტროსთან ახლოს, ნახევრადპანსიონში; თითოეულ ნომერში იქნება ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, კონდიციონერი... სასტუმროში მცხოვრებთა განკარგულებაშია საცურაო აუზი. ატლანტაში ჩაფრენისა და გამოფრენის დღეს იქნება საავტობუსო აეროპორტი-სასტუმრო-აეროპორტი. ყოველდღიურად ტურისტს ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაზე მიეცემა 1 ბილეთი (ამ ბილეთის მფლობელს უფლება ეძლევა ოლიმპიური თამაშების დღეებში უფასოდ იმგზავროს საქალაქო ავტობუსითა და მეტროთი). მოეწყობა ექსკურსია ქალაქში, CNN CENTRE-ს მონახულება. მოგემსახურებათ გიდი. მოგაწვდიან საინფორმაციო მასალებს. მოინახულებთ მსხვილ სავაჭრო ცენტრს.

ეს სიამოვნება დაგიჯდებათ: 9 დღით — 6 000 ამერიკული დოლარი, 18 დღით — 10 500 ამერიკული დოლარი

II ვარიანტი

იმავე ვადებში და იმავე მარშრუტით ატლანტაში გასამგზავრებლად გთავაზობთ შეორე ვარიანტს: ტურისტები იცხოვრებენ ატლანტიდან 50 მილზე დაცილებულ სტუდენტთა ქალაქ „EBON ACADEMY“-ში. ყოველ ოთახს აქვს კონდიციონერი, ორ-ორ ოთახს — შხაპი და ტუალეტი, ტელევიზორი, მაცივარი; ყინულის გენერატორი — ყოველ სართულზე. თქვენს სრულ განკარგულებაში იქნება კორტები, სპორტული მოედნები, აუზი, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა. გარანტირებული იქნებით ორჯერადი კვებით (სამხარი და ვახშამი ან ვახშმის ნაცვლად მშრალი ულუფა). „EBON ACADEMY“-დან ატლანტის უახლოეს მეტროს სადგურამდე ყოველდღიურად რეგულარულად იმოძრავებს ავტობუსი. ყოველდღიურად ტურისტს ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე მიეცემა 1 ბილეთი (ამ ბილეთის მფლობელს უფლება ეძლევა ოლიმპიური თამაშების დღეებში უფასოდ იმგზავროს საქალაქო ავტობუსით და მეტროთი. მოეწყობა ექსკურსია ქალაქში, CNN CENTRE-ს მონახულება. მოგემსახურებათ გიდი: მოგაწვდიან საინფორმაციო მასალებს; მოინახულებთ მსხვილ სავაჭრო ცენტრს.

მგზავრობის ღირებულება: 9 დღით — 4 600 აშშ დოლარი, 18 დღით — 8 100 აშშ დოლარი.

იჩქარეთ, ნუ გაუშვებთ ხელიდან ატლანტაში ოლიმპიური თამაშების ხილვის შესაძლებლობას! იჩქარეთ, რადგან ადგილები შეზღუდულია და აღარც დრო ითმენს! დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მისამართზე:

თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 65.
ტელ: 95-20-79 ან 95-34-91.

გიორგი კანდელაკი:

სიფრთხილე შიში არ არის

საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ს. ხ. ი.ის ადრეც გაუწყეთ. ახლახან ჩვენ ... ოლიდან ტრადიციული საერთაშორ... ტურნირიდან დაბრუნდნენ, წელს „ ... ნა-96“ რომ ეწოდა. ტურნირი ... იყო საინტერესო, რომ მასში 16 ... ქვეყნის მოკრივეებთან ერთად ... და კანდელებიც უძლიერესი შ... ვენლობით გამოვიდნენ. ჩვენი ნაკ... ი მოკრივით გაემგზავრა სოფიას, მაგ... ამ 31 კგ წონაში ავადმყოფობის გამო ... ია არ უსპარეზია, დანარჩენთა ... ები კი ასეთი იყო:



60 კგ. კობა გოგოლაძე. I წრე: დემირი (იუგოსლავია). მსაჯების გადაწყვეტილებით მოგება გოგოლაძეს მიეკუთვნა. II წრე, ნახევარფინალი. ბულგარელ ტინჩევთან მესამე რაუნდში გოგოლაძემ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. საბოლოოდ — ბრინჯაოს მედალი: ჩემპიონი ტინჩევი გახდა.

63,5 კგ. ბესო ვარძელაშვილი. I წრე. ოულსოი (თურქეთი) 7:0. II წრე: ვინენტი (კუბა) 0:9. ჩემპიონი: ვინენტი.

67 კგ. თენგიზ მესხაძე. I წრე. კანდერი (რუსეთი) 8:0. II წრე. მარიანი (რუმინეთი) 4:9. ჩემპიონი: მარიანი.

71 კგ. მათე კოლუაშვილი. I წრე. დუვერელი (კუბა) 1:9.

71 კგ. ილია ტლაშაძე. I წრე. ანტონიანი (სომხეთი) 6:2. ნახევარფინალი. მიჯაი (უნგრეთი) 4:3. ფინალი: ვასტაკი (რუმინეთი) 3:5.

76 კგ. აკაკი კაკაურიძე. I წრე. ორჰუნი (თურქეთი). მსაჯების გადაწყვეტილებით მოგება კაკაურიძეს მიეკუთვნა. II წრე. კუზმინცევი (ბულგარეთი) 4:5. ჩემპიონი: სერანდესი (კუბა).

81 კგ. ალბერტ ოჩიგავა. I წრე. სკიფო (რუმინეთი) 4:5. ჩემპიონი: ბენგესშია (ინგლისი).

91 კგ. გიორგი კანდელაკი. I წრე. ბელიკოვი (რუსეთი) 5:2. ნახევარფინალი: მენჯი (საფრანგეთი). კანდელაკი პირველ რაუნდს 3:0 იგებდა, შემდეგ კი, მეორე რაუნდში ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ჩემპიონი: სავონი (კუბა).

კუბელები ლამის აკტობუსიდან გადმოსულები ჩაბმულან შეჯიბრში და ისევე უცბათ დაუტოვებიათ იგი ტურნირის დახურვის შემდეგ. მათ სოფიაში 12 მოკრივე ჩამოეყვანიათ და 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოუპოვებიათ. კუბელებს წინ მხოლოდ მასპინძლები გაუშვიათ: შესაბამისად, 4, 3, 5. სამაგიეროდ, მასპინძლებმა 23 მოკრივე გამოეყვანეს. სომხეთის, თურქეთის, იუგოსლავიის, პოლანდიის და ისრაელის ნაკრებებს ვერცერთი მედალი ვერ მოუპოვებიათ. ჩვენებს საბოლოოდ ერთი ვერცხლით და ორი ბრინჯაოთი რუსებთან ერთ მე-7-მე-8 ადგილები გაუყვიათ. რუსთის ნაკრებში გვასალიასა და ფალიანს არ უსპარეზიათ. ამ ტურნირში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ალბათ ისაა, თუ რატომ თქვა ნახევარფინალში, ფრანგ მეტოქესთან ბრძოლის გაგრძელებაზე უარი ჩვენი ნაკრების ლიდერმა გიორგი კანდელაკმა, თანაც მაშინ, როცა პირველი რაუნდის შემდეგ 3:0 იგებდა. ყველაფრის თავი და თავი ალბათ ისაა, რომ ფინალში გასვლის შემთხვევაში კანდელაკი კუბელ ფელიქს სავონს უნდა შერკინებოდა. კანდელაკს ადრეც აურიდებია თავი სავონთან შეხვედრისთვის. ნუთუ ასეთი საშინელია სავონთან ჩხუბი, ნუთუ გორელ მოკრივეს „სავონის კომპლექსი“ დახჩომდა?

— ალბათ არც უამისობაა, — მიხსნის გიორგი — მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ბულგარეთში, ამ შეჯიბრის წინ მაღალი სიცხეები მქონდა, დასუსტებულიც ვიყავი და ვარჯიშიც გამიცდა. ფაქტიურად, იმ დღეს წამოვდექი ლოგინიდან. პირველი რაუნდი მენჯისთან ძალების უკიდურესი დაძაბვით მოვიგე, მაგრამ ველარ ვსუნთქავდი, ვგრძნობდი, რომ მეტს ველარ გავძლებდი, თანაც, არ მინდოდა, ჩემი ძველი ტრავმა — ნეკნის მოტეხილობა გამემეორებინა. მენჯისთან შეხვედრა დანაშიც მომიწევს ევროპის ჩემპიონატზე, ამიტომ აღარ გავხსენი კარტები და ტაქტიკური მოსაზრებით თავი ავარიდე ბრძოლის გაგრძელებას. სხვათა შორის, მენჯი ფინალში სავონთან სპრძოლველად არ გასულა, მანაც იგივე გაკეთა... რად უნდოდა ევროპის ჩემპიონატის წინ ზედმეტი პრობლემების შექმნა და სავონთან ჭიდილი? როგორც შევიტყვე, მენჯიც ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებობს.

— ვინ არის ასეთი ეგ სავონი, ყველა რომ უფრთხის?

— 196 სანტიმეტრი სიმაღლის, ძლიერი აღნაგობის მოკრივეა. 30 წლისაა და, ფაქტიურად, კრივში ყველაფერი იცის. ერთხელ ტალანდში ნაჩხუბარი ვარ და მისი ძალა ვიცი. მაგრამ ისე არ გაიგო, უძლეველი იყოს.

— მენჯის შესახებ რას იტყვი?

— მენჯი პირველი ზანგი იყო, ვისაც ჭაბუკობისას ვეჩხუბე. ჩვიდმეტი წლის ვიყავი, თურქეთში ტურნირზე რომ შევხვდი. ჩემზე ოდნავ დაბალია, მაგრამ საკმაოდ ჩაფსკვნილი. მაშინ პირველ რაუნდს 4:0-ს ვუგებდი, მეორეს 12:5-ს, საბოლოოდ კი გამოცდილებით და გამძლეობით 15:13 მძლია. თავიდან, სანამ ჯანზე ვიყავი, ხელს ვკრავდი, რათა ჩხუბის საშუალება მქონოდა, მესამე რაუნდში კი ძალაგამოცლილი თავად ვეხეტებოდი. ახლა 26 წლისაა. ვიცი, ევროპაზე წინ გადაეღობება. ზემოთ გითხარი, სავონთანაც ჩხუბს ფინალში იმად აარიდა თავი, ევროპის ჩემპიონატის წინ ჯანმრთელობისთვის ხიფათი რომ არ შეექმნა, თანაც არ უნდოდა ბოლომდე გახსნილიყო. ბულგარეთში ამ ტაქტიკურ ხერხს მრავალმა მოკრივემ მიმართა.

მამუკა ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

დედოფალი ახლა ჟუჟაა!

ორიოდე დღის წინ ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონად აკურთხეს ჟუჟა პოლგარი. მან აქ ანგარიშით 8,5:4,5 დაამარცხა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი სე ძუნი და ჩვენს პლანეტას მერვე მსოფლიოს ჩემპიონად მოვევლინა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ჩემპიონები იყვნენ: ვერა მენჩიკი (1927-1944), ლიუდმილა რუდენკო (1950-1953), ელისაბედ ბიკოვა (1953-1956; 1958-1962), ოლგა რუბცოვა (1956-1958), ნონა გაფრინდაშვილი (1962-1978), მაია ჩიბურდანიძე (1978-1991) და სე ძუნი (1991-1996).

ჟუჟა პოლგარი კარგა ხანს ემზადებოდა სე ძუნთან შესახვედრად. 1993 წელს შეეძლო კიდეც, მაგრამ ნანა იოსელიანთან დამარცხდა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში. პირველობის მომდევნო ციკლში ჟუჟას ისევ ქართველი დიდოსტატი, ამჟერად მაია ჩიბურდანიძე გადაეღობა, უფრო სწორად, 1994 წელს ტილბურგში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირში მაიამ პირველი ადგილი გაუყო, მაგრამ დამატებით შეხვედრაში (1995, სანქტ-პეტერბურგი) ჟუჟამ დამაჯერებლად სძლია მრისხანე მეტოქეს და სე ძუნთან მარტო დარჩა.

ჟუჟა პოლგარს სჯერიდა თავისი ბედის ვარსკვლავისა. აი, ქალბატონ ნაწილი ანშინდელი ინტერვიუდან:

—გსურთ, გახდეთ მსოფლიოს ჩემპიონი?

— დიახ, ვემზადები.

— შეძლებთ სე ძუნის დამარცხებას?

— ვიმედოვნებ.

— თუ შეხვედრიხართ სე ძუნს ადრე?

— ორჯერ, საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ორივე პარტია ყაიმით დავამთავრეთ.

მატჩში ჟუჟამ ექვსი პარტია მოიგო, ორი წაგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა. პირველი პარტია ჩინელმა მოიგო, მაგრამ მომდევნო ორ შეხვედრაში წარმატება ველარ განმტკიცა. მეოთხე პარტიაში გამარჯვებით პოლგარმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ოთხი მოგებით მტკიცედ დაეუფლა ლიდერობას. სე ძუნმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა მეთორმეტე პარტიაში, შეამცირა კიდეც სხვაობა ანგარიშში, მაგრამ მეცამეტეში ჟუჟამ მატჩს წერტილი დუსვა.

ჯერ არ გამოქვეყნებულა მატჩის ყველა პარტია, მაგრამ ისიც, რაც ვნახეთ, ცხადყოფს, რომ პოლგარმა თამაშის ტაქტიკა შეცვალა: იგი ახლა უფრო შემტევია, ვიდრე ადრე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჟუჟას მისი უმცროსი და — „დიდოსტატ ვაჟთა სკალების მოყვარული“ იუდითი ეხმარებოდა. ეს თანამშრომლობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაყოფიერი გამოდგა.

ჟუჟა პოლგარი დაბადა 1969 წლის 19 აპრილს ბუდაპეშტში. ჭადრაკის თამაში დების, იუდითისა და სოფის მსგავსად სამი წლისამ ისწავლა. 14 წლისამ თანატოლებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ჟუჟა თავიდანვე ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობდა. მისი მიღწევები იმთავითვე დიდ ნიჭზე მეტყველებდა. თავდადებული მეცადინეობის და მტკიცე ნებისყოფის წყალობით ჟუჟამ საჭადრაკო შწვრვალებს მიაღწია. 1987 წელს მას საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა, 1990 წელს ფიდემ ასეთივე წოდება მიაკუთვნა ვაჟთა შორის. ჟუჟას არ მიუღია აკადემიური განათლება (არ დაუმთავრებია სკოლა და უნივერსიტეტი), ყველაფერს მამა ასწავლიდა მინ. 1994 წელს ჟუჟა გადახვდა ამერიკელ პროგრამისტ ჯაკობ შტუცმანზე და ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს.

ქალთა ჭადრაკში პოლგარების ხანა დაიწყო.

თენგიზ გიორგაძე

„ᲑᲝᲛᲑᲐ“ ᲢᲝᲛᲑᲐᲛ ᲜᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲢᲔᲮᲐ

29 ᲓᲔᲚᲘᲡ ფლეი-ბოის, იტალიელ მოთხილამურე ალბერტო ტომბას ოლიმპიადებზე თუმც სამი ოქრო და ორიც ვერცხლი მოუგია, იგი წლევანდელამდე ვერაფრით გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი. ერთადერთი, რისთვისაც „ლა ბომბად“ ცნობილ მექალთანეს მიეღწია, დებიუტის წელს, 1987-ში, შინ, სესტრიერიში ვიგანტურ სლალომში მოხვეჭილი ბრინჯაო იყო.

ტომბა შეძლებულ ოჯახში დაიბადა, თხილამურებით კი სამი წლიდან დსრიალებს. შვედი ინგემარ სტენმარკის შემდეგ იგი თანამედროვე გენად მიიჩნევა და მსოფლიო თასის პროგრამით 47 შეჯიბრიცა აქვს მოგებული. „ლა ბომბა“ მთელი იტალიის კერპია. რეკლამას უწევს საცვლებს, ხოლო ერთხელ სილამაზის კონკურსის ჟიურიში რომ შეიყვანეს, გამარჯვებულ გოგოს მყის „შებმა“ დაუპირა.

ალბერტო სიერა-ნევადაში (ესპანეთი) დსრულებულ მსოფლიო პირველობაზეც თავის სტიქიაში იყო — სადაც კი გამორნდებოდა, საზოგადოებას ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. მასპინძლებს თავიდან არ ეპატუნავთ კაღნიერი იტალიელი, ვინაც სიერა-ნევადის ტრასებს ერთი პირობა აკრიტიკებდა, მაგრამ ტომბამ ბოლოსდაბოლოს ამათი გულებიც მოიგო.

„ლა ბომბამ“ ორ სახეობაში იასპარეზა და ორივეში გაიმარჯვა: პარასკევს მოიგო გიგანტური სლალომი, კვირას — სლალომი. გიგანტურის ორი დაშვების ჯამში მას 0,44 წამით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული ერნსტ კაილინგი (შვეიცარია), მესამე კი ამბი თანაშემამულე მიხაელ ფონგრონინგენი იყო. კვირას ალბერტო პირველი დაშვების შემდეგ მეექვსე მიდიოდა, მაგრამ ორი ცდის ჯამში 0,31 წამი მაინც მოუგო ავსტრიელ მარიო რაიტერს. მესამე ადგილზე ამ სახეობაშიც ფონგრონინგენი გავიდა.

ტომბამ ერთობ გაიხარა. ისიც თქვა, ერთბაშად ორი ოქროს შოგებაზე ვერც ვიოცნებებდიო, მაგრამ სპორტიდან წასვლას მაინც არ აპირებს — საგაისო მსოფლიო პირველობა სესტიერიში გაიმართება, შინ კი თავის გამოჩენა, აბა, ვის არ სწადია.

ქალთა სლალომი შაბათს გაიმართა. ერთობ ხისტ, მოყინულ ტრასაზე მონაწილეთა ნახევარი პირველივე დაშვებისას გავარდა. ერთობ დამაჯერებლად გაიმარჯვა შვედმა უნივერსალმა პარნელა ვიბერგმა, ვინაც მანამდე კომბინაციაც შოიგო. მან თითქმის წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ფრანგ პატრისია შუკუს. მესამე ადგილზე სლოვენი იუზკა ხორვატი დარჩა.

ᲘᲥᲐᲪ ᲓᲐᲛᲠᲢᲧᲛᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ჰეისთინგსის კარიერის ზენიტისეული დრამა

ედინბურგელმა, მცველმა -გევინ ჰეისთინგსმა 10 წელი (1986-1995) ითამაშა შოტლანდიის ნაკრებში და „ლომების“ ორ ტურნეშიც მონაწილეობდა (1989, 1993). გარდა ამისა, ბრძანდებოდა სამივე (1987, 1991, 1995) მსოფლიო თასზე, სადაც მოიხვეჭა 62, 61 და 104 ჭიქა, რომელთა ჯამი — 227 ჭიქა შემდეგ მსოფლიო თასამდე (1999) საუკეთესო იქნება.

შარშანდელი მსოფლიო თასის შემდეგ კაპიტანმა ჰეისთინგსმა თავი ანება ნაკრებს, თუმცა შშობლიურ კლუბ „ვოსონიანსში“ მაინც თამაშობს. უმისოდ ნაკრები უკეთ ათამაშდა და ამ შაბათს შინ, მარიფილდში, ინგლისს თუ მოუგებს, ხუთი ერის ჩემპიონატს ვადამდე მოიგებს დიდი სლემით. ხუთშაბათს გამოცხადდა, რომ ჰეისთინგსი სპორტს იცვლის. სხვა მორაგბეებისგან განსხვავებით იგი გადადის არა ლიგის რაგბში, არამედ ამერიკულ ბურთაობაში — გევინი „მსოფლიო ლიგის“ წევრი „სპოთიშ ქლეიმორზის“ (შოტლანდიური სატევრების) კარში დამრტყმელად იმუშავებს. ეს გუნდი მეტოქეებს მარიფილდში მასპინძლობს.

გამოჩენილ მორაგბეთაგან ამერიკული ბურთაობა მხოლოდ სამხრეთაფრიკელ ნაას ბოთას დაუჭაშნიკებია — 1980-იან წლებში იგი ორიოდე სეზონით გადავიდა დალასის გუნდში, მაგრამ მერე ისევ რაგბში დაბრუნდა და „ქუარციკების“ ლიდერიც გახდა. ბოთას დალასში ოდენ კარში დარტყმა ევალებოდა.

ჰეისთინგსის ამპლუაც ეს იქნება. იგი მოედანზე მარტო მაშინ შევა, როცა მისანები კარში დარტყმას დააპირებენ. სხვაფრივ, გევინს თამაშში მონაწილეობა არ მოუწევს.

თუმც გევინი გამობრძმედილი დამრტყმელია და შორიდან სასწაული გოლებიც გაუტანია, კარიერის ზენიტში ხელი მოეცარა — 1991 წლის 26 ოქტომბერს, მარიფილდში, მატჩის ბოლოს დანიშნული უიოლესი საჯარიმო რომ შეეგდო, შოტლანდია ინგლისს მოუგებდა მეორე მსოფლიო თასის ნახევარფინალს და ფინალში ავსტრალიას ეთამაშებოდა. შარშანდელ მსოფლიო თასზე ჰეისთინგსი დარტყმას საშუალოდ 73 წამს ახმარდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მას ამერიკულ ბურთაობაში ადაპტაცია გაუჭირდება, რაკი ამ თამაშში ყველაფერი ციმციმ ხდება: მწყობრიდან მიღებულ ბურთს დამრტყმელს ფერხთით დაუდებენ, მან კი ბურთს ფეხი მარჯვედ უნდა ამოჭკრას. ერთი კია, ჰეისთინგსს ლელოს გარდასახვა მოედნის კიდიდან აღარ მოუწევს, რაკი ამერიკულ ბურთაობაში ერთთავად კარის წინიდან ურტყამენ.

ინგლისის თასის მეოთხედფინალი. 24.II: ბრისთოლი 12 — ბასი (მფლობელი) 19; გლოსთერი 22 — ვოსფსი (ლონდონი) 9; ლესთერი (ჩემპიონი) 24 — პარლიქვინზი (ლონდონი) 9; ირლანდიელები (ლონდონი) 11 — ვესტ პართლპული 10

ᲔᲛᲢᲝᲠᲘᲚᲘᲨᲘ ᲫᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲦᲐᲛᲔᲑᲘᲐᲜ

.ფინელი ავტომობილისტი [illegible] ასპარეზობისას და კარგა ხანს კომაშიც იყო, ისე მოკეთდა, რომ ახალი სეზონისათვის ვარჯიშში ტოლს არავის უდებს.

მიკა ჰაკინენი

ფორმულა-1-ის გუნდები ტრადიციულად ეშტორილში (პორტუგალია) ცდიან ახალ მანქანებს. „მაკლარენ-მერსედესი“ მრბოლი ჰაკინენი 15 თებერვალს მხოლოდ ჰილს („უილიამსი“), ბერგერს („बენეტონი“) და ალეზის („बेनेटोन“) ჩამორჩა, ერთი კვირის თავზე კი ტესტსესიაში უკვე ყველას აჯობა. მის კვალად კარგი შედეგი აღმოაჩინდათ იმავე ალეზის, სალის („ტრეილი“) და ინდიკარიდან მოსულ კანადელ ჩემპიონ ჟაკ ვილნევს („უილიამსი“). სამაგიეროდ, „ფერარის“ ვერა და ვერ შეეწყო ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი. მის მანქანას გაუჭირვებულდა სიჩქარეთა კოლოფი, რის გამოც ჰაკინენთან ერთ წრეზე წამსახევარი წაგო.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲒᲕᲔᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲝ ?!

რაც მსოფლიოს პირველი ჩოგნობა ღიბრუნა, ამერიკელმა პიტ სამპრასმა პირველივე ტურნირი მოიგო — „სენთ ჯუდ კლასიკი“, კვირას რომ დასრულდა ტენესის შტატის ქალაქ მემფისში. პიტი პირველ წრეში თავისუფალი იყო, მერე კი ზედიზედ დამარცხა რიჩი რენებერგი (აშშ) 6:3, 7:5, გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 7:6, 7:6, მარკ გუდფორდი (ავსტრალია) 6:4, 7:6, ნახევარფინალში — მაიკლ ჩანგი (აშშ, 3) 6:3, 6:2, ფინალში კი — მარტანდელი ჩემპიონი თიმ ოოტენი (აშშ, 5) 6:4, 7:6, ვინაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს (10) 6:3, 7:5 მოუგო. დანარჩენი სამი მეოთხედფინალი ასე დამთავრდა: ჩანგი — მალიავი ვოშინგტონი (აშშ, 6) 7:5, 4:6, 6:3; მარტინი — თიმას ენკვისტი (შვედეთი, 4) 6:4, 6:4; ფილიპუსისი — იური ნოვაკი (ჩეხეთი, 15) 6:3, 6:1. იქვე მეორე ნომრად იყო განთესილი ანდრე აგასი, მაგრამ მას მეორე წრეში 6:2, 6:4 მოუგო ამერიკელმა ლუკ ჯენსენმა, ვინაც წყვილად თამაშობაა ცნობილი. აგასის ასეთი მარცხი ბოლო წელიწადნახევარია, არსად შემთხვევია.

ვაუთა ტურის პარალელური შეჯიბრი იყო ევროპის თანამეგობრობის პირველობა, ანტვერპენი (ბელგია) რომ მასპინძლობდა. აქ თავი იმ ხალხმა მოიყარა, ტრავმები ბოლო დროს რომ მოიშუშა და ასპარეზს დაუბრუნდა.

ხორვატი გორან ივანიშევიჩი (3) ზედიზედ მესამე ანტვერპენულ ტიტულს გეგმავდა. მართლაც, მან მეოთხედფინალში 4:6, 7:6, 6:2 დაამარცხა იტალიელი რენკო ფურლანი, ნახევარფინალში კი თვით სარბიელს დაბრუნებული, ავსტრალიის ახალი ჩემპიონი ბორის ბეკერი (გერმანია, 1) 6:4, 7:6 (7-5) (საათსა და 13 წუთში), მაგრამ ფინალი 3:6, 4:6, 6:7 წააგო. გერმანელ მიხაელ შტიხთან (6), ვისაც ოქტომბრის შემდეგ დიდი ხანი რომ არ უასპარეზია, კლასიფიკაციაში მე-13 ადგილამდე ჩამოქვეიდა.

კოპმორჩენილმა შტიხმა ტურნირი ისე მოიგო, რომ ერთი ხელიც არ წაუგია. ნახევარფინალში მან სძლია განუთესელი უკრაინელი ანდრეი მედვედევი, ვინაც ჯერ კოპის ოპერაცია გაიკეთა, მერე — ცხვირისა, შეუამხანაგა ივანიშევიჩის მიერ გაგდებული მწვრთნელ ბობ ბრეთს და ანტვერპენში ზედიზედ გაგდო რუსი ევგენი კაფელნიკოვი (2) 6:1, 6:3 და შვეიცარელი მარკ როსე (8) 4:6, 7:6, 6:3.

გაგანია ტურნირში შტრიხმა და ბეკერმა საზოგადოება აფორიაქეს. ისინი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონები არიან წყვილად თამაშში, მაგრამ წელს ატლანტაში თორმე არ აპირებენ ტიტულის დაცვას, ვინადან, ერთი რომ, დიდი სლემისა და ასოციაციის ტურის შეჯიბრებების მოგება მეტადა სურთ, ყველგან ასპარეზობისათვის კი ძალები არ ეყოფათ, და მეორეც, ოთხი წლის წინ თორმე ოლიმპიური სულისკვეთების დასამუქებლად ჩასულან ბარსელონაში, თორემ იქ სხვაფრივ არაფერი აინტერესებდათ. წელს გერმანელებს ახალი საცდური აკლიათ, მით უფრო, თუ ატლანტაში საკლასიფიკაციო ჭიქები არ რიგდება.

ნაკლები რეზონანი როდი მოჰყოლია შტეფან ედბერგის განცხადებას, შვედეთის ნაკრებში რომც შემოყვანონ, დევისის თასის მეოთხედფინალის სათამაშოდ მაინც არ ჩავალ ინდოეთს, რადგან იქ უკეთური პავა, რასაც ‘ისიც მოწმობს, რომ მავან შვედ ჟურნალისტს იქ 11 წლის წინ შეერილი მალარია ჯერაც ვერ მოურჩენია, ხეთა მწვრთნელმა კი ინდოეთში ერთი სტუმრობისას ერთბაშად 20 კილო დაიკლო. ამაზე ინდური ჩოგბურთის მამებმა ედბერგს შეუთვალეს, მთელი მსოფლიო მოგვევლიათ, ყოველგვარ ამინდში გითამაშიათ, ამად გრცხვენოდეთო. ისე კი, თქვენი განცხადება სულ არ შეეფერება დევისის თასის უმთავრეს იდეას, ხალხთა დაახლოებას რომ ისახავს მიზნადო.

შტიხი ფორმაში თანდათან შედის, მაგრამ ატლანტისკენ გული მაინც არ მიუწევს

ქალთა ტურზეც ორი შეჯიბრი იყო — ოკლაჰომა-სითიში (აშშ) და ესენში (გერმანია). პირველგან მასპინძელი ჩანდა რუბინი (1) ნახევარფინალში 6:4, 6:4 გააგდო ამანდა კეტცერმა (სამხრეთი აფრიკა), მაგრამ მერე ფინალში თავად წააგო. ბრენდა შულეც-მაკგიფისთან (ჰოლანდია). მეორეგან ივა მაიოლმ (ხორვატია, 1) ფინალში 7:5, 1:6, 7:6 დაამარცხა იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 4).

ნოვოტნამ ნახევარფინალში აჯობა ანკე ჰუბერს (გერმანია, 2), მეოთხედფინალში კი დაამარცხა ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 7:6, 2:6, 6:3, რომელიც 15 თვის შემდეგ, როგორც იქნა, დაუბრუნდა სარბიელს და ვიდრე ჩეხს გადაეურებოდა, მოუგო ქრისტი ბუგერტს (ჰოლანდია) 6:1, 6:2 და ბარბარა შეტს (გერმანია) 7:6, 6:1.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲣᲐ

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ, ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ ᲓᲐ Ა.Შ.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡ საერთაშორისო ფუდერაციამ (იბფ) შაბათს სამი საათი არჩია სამხრეთაფრიკელი მძიმეწონოსანი ჩემპიონი ფრანსუა ბოთას დოპინგზე გამოჭერის საქმე და დაასკვნა, რომ თავად მოკრივე უცოდველი ყოფილა, ხოლო ანაბოლური სტეროიდი მისთვის წამლად მიუცია მწვრთნელს, როცა ბოთას 1988 წელს მოუტეხია მარჯვენა ხელი. რაკი მოკრივე გააამართლეს, მისთვის ტიტული აღარ ჩამოურთმევიათ, მაგრამ 50 ათასი ამერიკული დოლარით მაინც დააჯარიმეს. გარდა ამისა, ბოთას ებრძანა, რომ 180 დღის განმავლობაში ხელახლა ეკრიკოს გერმანელ აქსელ შულცს, ვისაც 9 დეკემბერს შტუტგარტში უკვე მოერია, მაგრამ მერე სტეროიდის ხმარება აღმოუჩინეს. დადგენილია შემდეგი საჩემპიონო შერკინების ვადაც: ბოთა — შულცის რე-მატჩიდან 120 დღის ვადაში გამარჯვებულმა ტიტული უსაკვდილოდ უნდა დაიცვას მაიკლ მორერის ხელყოფისაგან. ერთი სიტყვით, მორერი ხან ჯორჯ ფორმუნს უნდა შებმოდა, ხანაც — შულცს, მაგრამ ორივე შერკინება ჩაეშალა.

ᲛᲐᲠᲚᲘᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ კვირას მოზამბიკელმა მარია მუტოლამ სტოკპოლმში 1 000 მეტრი ჭერქვეშ 2.31,23-ში გაირბინა და 0,8 წამით გაეუმჯობესა ორი კვირის წინ ბრმინგჰემში მის მიერვე დამყარებული მსოფლიო რეკორდი. შაბათს კი ნაირობში (კენია) კროსის მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი მიიგო მსოფლიოს ჩემპიონმა, მასპინძელმა პოლ ტორგატმა, ვინაც 12 კილომეტრი 36 წუთსა და 24 წამში გაირბინა. გამოჯაჯებულს ამი წამით ჩაშორია 5 ათას მეტრზე რბენის ოლიმპიონი, კენიელივე ისმაილ კირუი. ტორგატიცა და კირუიც შეიყვანეს ქვეყნის ნაკრებში, 23 მარტს ქეფთაუნში (სამხრეთი აფრიკა) კროსის მსოფლიო პირველობაზე რომ იასპარეზებს. ნაკრებში ვერ მოხვდა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჯონ ნგუგი, ვისაც ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია კი ეპატია, მაგრამ ერთი კვირის წინ ქვეყნის პირველობაზე 96-ე ადგილზე გავიდა, მერე კი ვარჯიშისას კუნთი გაიჭიმა და ვეღარ ირბინა.

ᲝᲣᲠᲘᲐ აქაოდა საერთაშორისო ფუდერაციამ (ფინა) ავსტრალიელ მსოფლიო რეკორდსმენსა და ჩემპიონ სამანთა რაილის აპატიაო, ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმაც შეინყალა თავისიანი ჯესიკა ფოში, რომელსაც რაილისა არ იყოს, თავის ტკბილის აკრძალული ნამალი მწვრთნელმა დაალევინა. დოპინგ-კონტროლის ჩაფლავებისათვის ფოშის ორწლიანი დისკვალიფიკაცია ერგებოდა, ახლა კი იგივე ხანგრძლივობის გამოსაცდელი პერიოდი დაუნიშნეს, ოღონდაც გააფრთხილეს, რომ თუ კიდევ ჩავარდება, ცურვას სამუდამოდ ჩამოაშორებენ. გამოხდა ერთი დღე და ფინამ ახლა ისიც გამოაცხადა, თვით რაილის მწვრთნელ სქოთ ვოლკერსსაც შეუძლია შინ, ბრისბენში მუშაობა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია კი ოდენ საერთაშორისო სარბიელზე აქვსო.

ᲙᲠᲘᲙᲔᲢᲘ გაილია რამადანის მარხვა და შეჯიბრების გახსნიდან ორი კვირის თავზე VI მსოფლიო თასში ჩაება ჩემპიონი — პაკისტანის ნაკრებიც, ვისი პირველი მატჩიც, სამრეწველო ქალაქ გუჯრანვალაში წვიმამ კინალამ ჩაშალა. მართალია, მოედნის ასაშრობად მასპინძლებს ვერტმფრენიც კი ავგუგუნებინათ, მაგრამ თამაშის დაწყება მაინც დაგვიანდა სამი საათით და 50-50-ის ნაცვლად გუნდებმა ოდენ 33-33 წყებანა მოაწოდეს. პაკისტანმა ამ ვითარებაშიც 9 ბჭითა და 90 ბურთით დაანგრია არაბთა საამიროები. ამავე ჯგუფში სამხრეთმა აფრიკამ კვირას რავალპინდში 78 გარბენით აჯობა ინგლისს, სამი თამაშიდან სამი მოგება დაუგროვდა და ლიდერობს. ხალხი ახლა მოუთმენლად ელის 29 თებერვალს, როცა აფრიკელები ყარაჩში პაკისტანს ეთამაშებიან. მეორე ჯგუფში დიდი მატჩი ამეღამ გაიმართება: ბომბეიში ინდოეთი ავსტრალიას პროექტორების შუქზე შეერკინება. 35 ათასი ბილეთიდან რიგიანი ქომაგებისთვის ოდენ მეხუთეედი გამოყვეს და ამათაც რაღა დარჩენიათ, 24-საათიან რიგში დგანან. ლონდონელ ბუქმეიკერებს -სწორედ რომ სამხრეთი აფრიკა და ავსტრალია მიაჩნიათ ფავორიტებად. მათ შანსებს 7:2-ად აფასებენ.

ᲯᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲘ 57 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული რუსი მეკარე ვიქტორ კონოვალენკო, ვინაც 1963-71 წლებში (1969 წლის გამოკლებით) სსრკ-ის ნაკრების ბოლო იმედი იყო და ერთის — სსრკ ჩემპიონობის გარდა რაგინდარა ტიტულიც მოიპოვა. საქმე ისაა, რომ ვიქტორი ვერაფრით აცდუნეს მოსკოვის ბობოლა კლუბებმა, კონოვალენკოს მშობლიურ გორკის „ტორპედოს“ კი ჩემპიონად, აბა, იმ დროში ვინ გახდიდა!

ᲑᲝᲚᲝᲕᲘ ევროპული ტურის მეოთხე შეჯიბრი — სამხრეთი აფრიკის პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატი, იოპანესბურგში ნინის წინა კვირაში რომ გაიმართა, ისე შეაფურთხა ავდარმა, რომ ოთხის ნაცვლად სამ წრედღა გაიმართა და კვირის მაგივრად ორშაბათს დასრულდა. ტურზე პირველად გაიმარჯვა გერმანელმა სვენ სტუვერმა (ნორმაზე 14-ით უკეთესი). მას სამი დარტყმით ჩამორჩნენ შარშანდელი გამარჯვებული, მასპინძელი ერნი ელსი და ირლანდიელი დეკოდ ფეერთონი. ტურის მორიგი შეჯიბრი, კელაე სამხრეთ აფრიკაში, ამჯერად დურბანში გაიმართა წინა კვირაში. იგი ნორმაზე 18 დარტყმით უკეთესი, შედეგით მოიგო მასპინძელმა ვეინ ვესტერმა და ჯილდოდ 81 ათასი გირვანქა მიითვალა, ესპანელი სვევრიანო ბალესტეროსი კი დაამტკიცეს ევროპის ნაკრების კაპიტნად. ევროპელებმა გაისად ვალდერამაში (ესპანეთი) გარდამავალი რაიდერის თასი ამერიკელთა ხელყოფისაგან უნდა დაიცვან.

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲠᲐᲒᲑᲘ მარტში ვეღარ დაინყება ავსტრალიის 13-კაციანი ლიგიდან (ᲐᲠᲚ) გამოყოფილი 10 კლუბის სუპერ-ლიგის გათამაშება. სიდნეის ფედერალურმა სასამართლომ პარასკევს განაჩინა, რომ ᲐᲠᲚ-ის ნევრ 20-ვე კლუბს, ხელშეკრულების ძალით, კიდევ ხუთი წელი მართებთ ეხტაბლიშმენტის ერთგულება. მსაჯულმა ჯეიმს ბეერთიშმა არ ისმინა სუპერ-ლიგელთა არგუმენტები, აქაოდა ხელშეკრულება მეწარმეობის კანონებს ეწინააღმდეგება, იგი გუნდებს თავს ძალისძალად მოახვიეს და გადგომილი გუნდების გარეშეც ᲐᲠᲚ-ს ბაზარზე მაინც საკმაო ძალა რჩებაო. სუპერ-ლიგა მედიის მაგნატ რუპერტ მერდოქის ფულით იქმნებოდა. მისი „ნიუზ ლიმითედის“ ხელში იქნებოდა ამ ლიგის მატჩების ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვა. ახლა სუპერ-ლიგამ სცნო სასამართლოს განაჩენი და თავისი შეჯიბრის დაწყება მინიმუმ ერთი წლით გადადო. ᲐᲠᲚ 20-ვე გუნდს შარშანდელივით ჩაადგამს თავის „ვინფილდის თასში“. ამიტ გაბითუურებული დარჩნენ ბრიტანელი ლიგელები. მერდოქელთა შეგონებით მათ უკუაგდეს ასლლოვანი ტრადიცია და მარტიდან ევროპის საზაფხულო სუპერ-ლიგაში მაინც ეშმეპიან, თუმცკი პარალელური სამხრეთული სუპერ-ლიგა აღარ გაიმართებ, რის გამოც სდონის ბოლოს ვეღარც მსოფლიო სუპერ-ლიგა ამოქმედდება. ვიდრე დააყადაღებდნენ სუპერ-ლიგამ ერთი შეჯიბრის გამართვა მაინც მოასწრო: შაბათს, ფიჯზე მოეწყო სოფლიოს ᲪᲮᲠᲐᲙᲐᲪᲐ, რომლის ფინალშიც ახალმა ზელანდიამ 26:10 დაამარცხა პა- ᲙᲘეთი, ავსტრალიამ კი მესამე ადგილისათვის შეჯიბრი 14:10 მოუგო ინგლისს.

ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ქართველი ჩოგბურთის ᲔᲒᲨᲘᲐრიტად ამგდარი კაცი- ᲑᲠᲐᲜᲢ ᲛᲣᲡᲐᲔᲚᲘᲜᲡ. უზომოდ უყვარდა თავისი საქმე და აღსაზრდელები. დარჩნენ მისი პატარა შეგირდები საყვარელი მწვრთნელის გარეშე. ისინი და მათზე ადრე ბევრი სხვაც სწორედ გრანტმა აზიარა სპორტის ამ დიდებული სახეობას. თითქოსდა უსატრონოდ დარჩენილი მისი ახლანდელი აღსაზრდელების თვალებში ცრემლი არ შრება. საყვარელ მწვრთნელთან ყველა ვარჯიში მათთვის ხომ ზეიმი იყო. იმ ტრაგიკულ დღესაც მათთან იყო და არ ეთმობოდა მათი გაშვება. თითქოს გრძნობდა, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა. აღარ არის გრანტი. მაგრამ მის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი მოწაფეები ქართული ჩოგბურთის მატიანეს ახალი ხელენთ შეავსებენ და სწორედ ეს იქნება ამ დიდებული ადამიანის უკვდავყოფა.

ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲫᲕᲔᲚᲘᲐ

რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲠᲝᲛᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ

გამომცემელი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲝᲗᲐᲫᲔᲠᲘᲐ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და ხელნაწერების საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29